

# ქვეყნის გზები




საქართველოს  
მხარეთა  
კავშირის  
გაზეთი  
№4 (272)

1-31 მაისი  
2019

ფასი 1 ლარი

გამომცემი  
თეიმურაზი

## შოთა ნიშნიანიძე - 90



შოთა ნიშნიანიძეს 90 შეუსრულდა.

პოეტის ეს ნიღაბი, რომელიც დასაფლავების დღეს ექსტრემალურ სიტუაციაში აუღეს, ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გალაკტიონის კაბინეტში ინახებოდა.

2006 წელს ავადსახსენებელმა მიხეილ სააკაშვილმა უნივერსიტეტი რომ დაარბია და რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონის და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები გააუქმა, შოთა ნიშნიანიძის ნიღაბი, სხვა ძვირფას ექსპონატებთან ერთად, ქუჩაში მოისროლეს. იღბლად ნიღაბი 3 ეგზემპლარად იყო დამზადებული და ამჯერად ერთი შოთა ნიშნიანიძის სახლში, მეორე კი შოთას უახლოესი მეგობრის, რევაზ მიშველაძის ბინაშია დაცული (სხვათა შორის პროკურატურის მიერ სააკაშვილისთვის წაყენებული 47 ბრალდებიდან მწერალთა კავშირის და უნივერსიტეტის დარღვევაზე არაფერია თქმული).

რაც შეეხება დიდი პოეტის მთაწმინდაზე გადასვენებას, მიუხედავად მწერალთა კავშირის არაერთგზისი შეხსენებისა, ხელისუფლება ფეხს ითრევს.

ვიღაცა ხოხვით თხრილს გადავიდა გაუნვა ბლინჯანდს ვით გემის კიჩოს თიანეთს ძეგლად გნახავთ კაპიტან, ჩვენო ამაყო, ჭალარა ბიჭო!

არა, ისინი არა კვდებიან... არა კვდებიან... მათ მხოლოდ ჰკლავენ! და ქვეყნად რაც კი იმედებია — აუზიდია მათ ბავშურ მკლავებს. ათასი დაფნა, წიგნი, მოლბერტი, ვინც სინდისს თავი არ აარიდა!

— კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!

### ტიციანს უყვარდა ნითელი მიხაკი

ტიციანს უყვარდა ნითელი მიხაკი და მამულს ლოცავდა ყანით და წიგნით, გულისპირს ებნია ნითელი მიხაკი მზე და გაზაფხული-სულ ერთი მნიკვი.

ტიციანს უყვარდა ნითელი მიხაკი

ნუთუ სისხლისფერი მიხაკი ბრდღვიალა მისწურად ამხელდა გადახსნილ იარას?! ახლა სალილედან-ცარიელ ფანჯრიდან აღარ შემოგვყურებს ციცქნა გაზაფხული.

ტიციანს უყვარდა ნითელი მიხაკი...

მისი ფიცხი ლექსი სივრცეებს გაჰყივის, ჭიხვინით ათამაშებს ფაფრიან კისერს, მგოსნებს მიუხტება ურა ულაყვივით და მძიმე ტორებით უხლინავს სიზმრებს.

თურმე სიკვდილის წინ მიხაკი ინატრა...

არც შურისძიებას და არც პატიებას არ ვითხოვ, მხოლოდ ცოდვით ვიდაგები: კაცი აღარ იყო... და ისევ ტყვიებმა მკერდზე დააბნიეს ნითელი მიხაკები.

\*\*\*

საქართველოში ყველა ციხესთან მე ჩამივლია ყინჩად, გულდიდად, ყველა ბურჯიდან თუ ქონგურიდან მწარე წარსული გადმოიხედავს.

ო, წინაპარო, დროის გრიგალთა, მხოლოდ ეს ციხე რჩება მონმობად. ბეჭიდან ჩრდილი ჩამოგივარდა, ისიც მონლოლის ცხენმა მოძოვა.

ვინა ვარ, რა ვარ, რა გზებს შემოვრჩი ან სული ასე რად ამიკვნესდა? ერთი კი ვიცი: საქართველოში მე მოკლული ვარ ყველა ციხესთან.



### შენს სინდისს თურმა საცრისტოლა თვალები ჰქონდა

აჩიკო მიშველაძე  
(1973-1993)

შენ არაერთხელ გაიპარე სიკვდილში -  
ომში...

პატარა ბიჭი გაიპარე... ახლა ხარ დიდი...  
შენ გაეპარე დედ-მამას და მომავალ  
ცოლ-შვილს,  
შენ გაეპარე სიბერეს და სიბერით  
სიკვდილს.

შენ გაეპარე მყუდრო ლოგინს და  
მყუდრო ოთახს  
და იმ ნუთიდან აღარ იყავ დედის  
შემბრალები,  
შენ სინდისს თურმე საცრისტოლა  
თვალები ჰქონდა

და სინდისს ალბათ ამიტომაც ვერ  
გაეპარე.

შენ ბავშვმა ნახე სისხლიანი ცხრა  
ანგელოზი...  
ნახე სოხუმი დალენილი... ნახე ჭუბერი...  
და შვილებისგან ყელგამოჭრილ  
საქართველოზე  
ნახე ვეშაპად განოლილი დარდის  
ღრუბელი.

არც აფხაზია შენი მკვლელი და არც  
ჩეჩენი,  
სიკვდილს შენ თვითონ დაეძებდი  
ჯიქურ სარქენად.  
ეჰ, შენი მკვლელი პირველ ყოვლის  
მამაშენია -  
პაატას კვალზე ბავშვობიდან რომ  
შეგაყენა.

გადატეხილი მშვენიერი ხარ კვიპაროსი,  
ჟამი კი მიდის რიარით... ლიტანიითაც...  
შენი ტოლები გრიალებენ სადღაც  
კვიპროსზე,  
ზოგნიც სამძიმარს აგ ზავნიან  
იტალიიდან...

ხვალ-ზეგ აფხაზეთს გადავლილი  
რისხვის გრიგალი  
დაიხსნის მინას - ლტოლვილების  
ცრემლებით ნამულს.

.....  
ადექი, ბიჭო,  
ადექი და  
კვლავ გაიპარე...  
შენი სიკვდილი კვლავ სჭირდება შენს  
ტანჯულ მამულს!..

### ბიჭები

კაცობრიობა რომ არ დაბერდეს  
სიბრძნით, ძიებით ან დადინჯებით,  
ჩვენს სასახლოდ მამებთან ერთად  
იბადებიან თურმე ბიჭებიც.  
ბიჭები! ღმერთო, სულ მთლად ბავშვები!  
როგორც ლეგენდებს გადმოუციათ.  
ბავშვებო ცეცხლს ნუ ეთამაშებით,  
ნურც ისტორიას!.. რევოლუციას!..  
წადით, ბიჭებო, სახლებში წადით,  
წიგნი იკითხეთ ან ითამაშეთ  
მაგრამ ბიჭები დროის წადილით  
ისტორიისთვის წერენ განაჩენს.  
მე მაიც მგოსნურ სიბრალურს ვიჩენ  
და ჯადოსნური ხილვის ნუთებით  
ამ ლეგენდარულ, თავნება ბიჭებს  
გზაზე ჯიუტად გადავუდგები.  
აჯაგრულია პარიზი... სენა...  
კვამლი და ცეცხლი ფერავს ტარასებს.  
ვიღაც სკუპ—სკუპით და სტვენა—  
სტვენით

გადარბის მოკლულ გრენადერებზე  
აჰა, ასკდება ჭურვი ბარიკადს,  
ბიჭი ჩქარობს და აღარ შეიცდის  
— მე გავროში ვარ! —  
ხელი ამიკრა—  
მე უნდა მოვკვდე საფრანგეთისთვის!  
აგე, ნორჩ მხედარს, მგზავრობით  
დაღლილს,  
სპარსეთს რომ ელის გზა დამღუპველი,  
მამის და დედის ფიქრით თალხი  
ასდევნებია ნოსტეს ღრუბელი.  
ბიჭს ცალი ხელით ვწვდები ქამარში  
ცალი ხელითაც მხარზე შემოვწვდი:  
მე პაატა ვარ... ვერ გადამარჩენ,  
მე უნდა მოვკვდე საქართველოსთვის.

▶ 1 გვ.

### დედაბი

ყველა ბაზრის თუ საყდრის კუთხეში, ყველა ქუჩაზე სადაც შევივლი, მხრებჩამოყრილი და უნუგემო ზის ვილაც ქალი ხელგაშვერილი.

ვისი დედაა ეს ქალბატონი? ეს მომტვრეული ციხის ქონგური? მისი იმედი, მისი პატრონი აფხაზეთშია იქნებ მოკლული.

ყველაფერს ხედავს მაცხოვრის თვალი და ბედიც მიტომ აღარ კადრულობს, ამ ქალის ხვედრში ვის უძღვის ბრალი, თუ არა შეშლილ მთელ საქართველოს.

ო, ღმერთო, რატომ მომტეხე მხარი, რად დამატეხე რისხვა ზეცათა: საწყალი დედა, ოცი წლის მკვდარი, აქ ცოცხლად როგორ გამომეცხადა!

თვალეები თითქოს გადამებინდა, ყელში რაღაც მწვდა მომაშობელი და ხელგაშვერილ ამ ზმანებიდან მიყურებს დედაც... და ღვთისმშობელიც...

ქალი — თეთრი თმის შარავანდედით, ქალი — უმწარეს ბედით დევნილი — ვაითუ, მართლა უფლის დედაა, გამოსაცდელად ცით მოვლენილი.

შიშით და ელდით მიფეთქავს გული, ჩემსავით ალბათ სხვებიც შიშობენ. როგორ გავბედო და ხურდა ფული როგორ ჩავუდო ხელში ღვთისმშობელს...

### პეფსი

ნუთუ არ გქონდა სურვილი შეყრის, საით გაგირბის მხერა ელამად. შენ ხომ არა ხარ ნეტა ის ვეფხვი, მოყმემ რომ დასცა პირტიტველამა.

სდუმხარ და მაინც თითქოს ღრიალებ, დგახარ და მაინც აკეთებ ნახტომს, გაოგნებული და ნალვლიანი, ალბათ შამბნარში ხეტიალს ნატრობ.

აღტაცება და შიში ამიტანს, სტრიქონებივით მიჯრილ ზოლების და მოთახთახე შენი ტანიდან დგება აზიის სიცხე ზმორებით.

მზის ბიბინია ბენვი მდიდრული, თუ ტრამალების ფერისცვალება? და ინარჩუნებს შენი ფიტულიც შიშს, აღტაცებას და მოკრძალებას.

არვინ გამცირებს და რად გრცხვენია, შენს სიბეჩავს რად აზვიადებ, შენ სიკვდილშიაც შემოგრჩენია ეგ მზვარობა და სიდიადე.

ჩემი ბნკარების ლერწმოვანებში ვეფხვივით ჩუმად დადის წარსული და ციხეების ტევრი ნალესი აქვს ბნკალებივით ტორზე ასხმული.

სივრცე კი არა, ჟამი მაშორებს ჩემს დიდ ჭრილობებს განუკურნებელს, ეს მის ბრდღვინვაზე ცივად აჟრჟოლებს სიზმრად გადასულ საუკუნეებს.

თუ არა ჟამი — რა დამაშორებს მას, რაც ჩემია და ლამაზია. ეს მის ბრდღვინვაზე ტანში აჟრჟოლებს სიზმრად გადასულ წინა აზიას.

ხოლო წარსული თუ შემეჩია, მის ჩრდილებს მაინც არ ვეხიზნები, ოთახში ვეფხვის ტყავი მიგია და ღამე მძინავს ვეფხვის სიზმრებით

### ქაღლი

თუ ძაღლს ოდესმე მიფერებია, ალბათ შემცბარხარ ძაღლის თვალებით. რა ერთგულებით მოგჩერებია, რა სიყვარულით და მოკრძალებით!

...იმ თვალებიდან არა ბრიყვული, არამედ რაღაც ბრძნულად გამგები, ადამიანი თუ არ გიყურებს, გიყურებს რაღაც არანაკლები,

ნუ მიიქცევი, სულს, საძილედ, ძაღლივით ფხიზლად მიწეი კართან, ნურაფერს ძაღლურს ნუ ითაკილებ კუდის ქიცინის და ყეფის გარდა.

იქნებ ისინი სხეულგაცლილი ადამიანთა სულელები გახლავთ, რაღაც ცოდვისთვის ღვთისგან

დასჯილნი, დაბადებულან ძაღლებად ახლა

და იმ უხსოვარ ღალატისათვის ერთგულება აქვთ ახლა მისჯილი? ძუნ პატრონებსაც უნდა იცავდნენ, თუნდაც სძვრებოდეთ სული შიმშილით.

თურმე ძაღლებსაც ამედიდურებს და უმახინჯებს ძაღლურ ბუნებას ზედმეტი ქება, ჯილდო, ტიტული, ზედმეტი ლიზი და ფუფუნება.

ასეთებს მუდამ ლოყებში სვამენ და როგორც წესი, მანქანით დაჰყავთ ისინიც ლიონი თვალებით სვამენ ცირკის სიყალბეს და შემთბარ ყაყანს,

ცირკში ვარ...ძაღლი "ბისზე" გავიდა და ემანჭება სახე ობობად, მე ძაღლის კბენას უფრო ავიტან, ვიდრე ამ ძაღლურ მსახიობობას.

ან გამოფენის გოროზ ჩემპიონს, ამ ჩინ-მედლებით გაბლენძილ რაინდს, უბრალო ძაღლი რად არ სჯობია სისხლით თუ არა, ბუნებით მაინც

ის თუ გიბლვერის ამპარტავნულად, ეს სამეგობროდ შემოგაციცინებს, უფრო სადაა და სპარტანული, ჩანს: დაუხვეწავს ბედის სიმძიმეს.

ამიტომ შორით ვუგზავნი ალერსს და ხშირად, ხშირად ფიქრებით დავდევი: ცხოვრების ძირში ჩახედულ თვალებს არსებობისთვის დაკბენილ თათებს.

ის მგელი იყო და მგლობა დათმო კაცთან მივიდა სამსახურისთვის, ადამინო, იყავი სათნო და ნუ იქნები ზოგჯერ უვიცი.

გთხოვ, ნუ იქნები მკაცრი და გულქვა არ დაივინო ძაღლის ყისმათი, არ დაინანო ძაღლისთვის ლუკმა და არც გალახო, ღვთის გულისათვის.

მე კი წკმუტუნზე გავდივარ გარეთ და ვხედავ, ძაღლი კუდაბურძგნული ძაღლივით გამხმარ ამ ლექსის ბნკარებს რა ბედნიერი მიაძუნძულებს...

### ხაგვური

სამასი არაგველის ხსოვნას

ზაფხულში, არაგვზე, სალუდე დუქანთან, უკრავდა დაირა და დათვი ბუქნავდა. ფიცხობდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა, სიცხე ძუნძულდება მთლად დათვისნაირად. ღრეობდნენ ხეგურნი... და ზორბა ხინკლები

პეშვიდან სხლტებოდნენ, როგორც თხის ჯიქნები. დაჩხილ ცხვირ-პირზე ეფინათ ხაშხაში, აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში. გზაზე კი სურათი კაცს ღმილს

მოჰგვირდა: ერთ ახმას იაბო დაუფრთხა ბოგირთან. რაც ვნახე, როგორ ვთქვა ან როგორ გიამბოთ,

გოლიათს ლაჯებში მოეხრჩო იაბო. ჩამოხტა დევკაცი და ცხენი მშიშარა ვეება ილლიის ქვეშ ამოიჩარა. გადმოვლო ბოგირი და მთვრალი ხეგურნი

შემოხვდნენ ყიჟინით აზარტში შესულნი. ჩამოსვეს, მაგიდა ჩასცილდა მუხლისთავს, ჯამში აშიშინდა თვალები ბულისა.

რაც იყო სუფრაზე — ერთიან მოხოცა, დათვიც კი დააფრთხო იმისმა ხორხოცმა. დაჩხილ ცხვირ-პირზე ეკიდათ ხაშხაში, აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში, ურთიერთს ხანჯლებივით უღერდნენ ტაეპებს და ჰგავდნენ ლანდები წარმართულ ღვთაებებს.

ფიცხობდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა, სიცხე ძუნძულდება მთლად დათვისნაირად. ცხენს გადაახუხა ხეგურმა არაყი. დეზი ჰკრა და... ფეხით გასტოპა არაგვი. როდესაც სიკვდილი იქ, ბარში,

მოყვრებთან ვენახებს მოხრავდა და მტკვრის წყალს მოხვრებდა, მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა და რქებით ჩხვერავდნენ კრწანისს თუ მარაბდას!

მთიდან ჩამორბოდნენ, მტრის ჟღერა ნებავდათ — და ბარში რჩებოდნენ სამარის ჯვრებადა.

ბარში მოდიოდნენ „ვოჟები“ კერკეტა — მთაში ბრუნდებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად.

და სიკვდილს, სიმწრისგან ყელზე რომ დაადგა, ხეგურის ფარია სხვა მრავალ ფართაგან.

ე მაგის სისხლია, ე მაგის ძვლებია, ჩვენს ქართულ ციხეებს რომ ჩაფიცხებია. ე მაგის სისხლია, ე მაგის სინდისი, ომში რომ არ ნავხდით სიკვდილთან პირისპირ.

მის გორდას მამულის გზა გაუკაფია, გორდასებრ ჩინჩხლებს ყრის ე მაგის კაფია.

მოდის საქართველო ე მაგის ჯიშისა, რომ მტერი ვერაგი კვდებოდეს შიშისგან!

### შენ რომ არ მყავდე ..

შენ რომ არ მყავდე, მე ვერ ავიტან, ვერც ველარავის შევეგუები, ჩემი გამგები შენ ხარ თავიდან და ერთადერთიც შენ მეგულები. მე ვერ ავიტან, შენ რომ არ იყო, შენი ჟრურტული რომ არ მესმოდეს, ნეტა ბუნებამ ერთად ნაილოს ჩვენი სიცოცხლე კარგი სეოდენ. შენ რომ არ იყო, ვინ დამიჯერებს, რომ არ ვარ ცუდი გულის პატრონი, შენ ერთადერთმა იცი ამჯერად თუ როგორ მიყვარს ძმა-თანატოლი. შენ რომ არ იყო ვინ დამიჯერებს, რომ ვარ ბავშვური და უწყინარი — შენ ერთადერთმა იცი ამჯერად ჩემი ავკარგის ყველა წვრილმანი. როგორ იქნება, დედაბუნება ასეთი კარგი რომ გამიმეტოს, ნუ გაიფუჭებ, ბავშვო, გუნებას, ო, ჩემო ბავშვო, ჩემო იმედო. ჩვენ ყველა ნავალთ გარდავიქმნებით, ნავალთ სიცოცხლის ახალ ნერგებად მაშინ ამ ქვეყნად აღარ ვიქნები და შენი დარდიც აღარ მექნება.

### გგელი

მგელს მეძახოდნენ ერთ დროს ბიჭები... ვაი, რომ მგლობას ვერ დავიჩემებ.

ვაი, რომ თავი მგელი მეგონა, თურმე ვყოფილვარ სულ მთლად უძღური.

რაც გაგიცანი-ძველი მგლობიდან შემომრჩა მხოლოდ მგლური ძუნძული. როგორც ბრდღვიალა ავტო-ფარები რად მომაფეთე შენ ეგ თვალეები...

..... მგელი ვიყავი, მგელი, ბიჭებო და კურდღელივით გადავიჩეხე...

### ფუტკარი

შენ ღვთის ფიქრი ხარ, ფუსფუსა ფიქრი მაძიებელი ფიქრი კირკიტა. გაბრუნებული ღვთისაკენ მიჰქრი, რომ დაიბადოს საქმე ფიქრიდან. თუ ჩემი სიტყვა შენს ხვედრს გაიყოფს მართლაც მქონია ქვეყნად სათქმელი იმაზე დიდი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე, ღმერთს კი — სანთელი.



გორჩა ხარანაული

მე ვერ ვიქნები მკვდარი პოეტი,  
რადგან როცა პირველად ვთქვი:  
„ჩემი სამშობლო“  
სიკვდილი მაშინ მივასიკვდილე!

\*\*\*

როგორც ციხესიმაგრე, დარდმა ამილო,  
სად ხართ, თანამზრახველნო,  
ვკვდები ამაღამ!

ახლა ჭიქა ღვინო ქნა სისხლად,  
დავლევდი,  
დაგავინყდათ ლექსები მობრიალენი!  
დაგავინყდათ კოცონი - შესაკრებელი,  
წუთისოფლის მერნებო,  
როგორ ბერდებით!  
როგორც ყანა ჯეჯილის ღვარცოფს  
ვნებდები,

ახლა ერთი ფასი აქვს  
თუ სად ვეგდები!

\*\*\*

შენთვის მინდოდა მენამლა,  
შეგვევლებოდი მინდოდა,  
ავდგები - შენგან მეც წავალ -  
ვიღაცამ ასე ინდომა.

დამრჩი უჩინო, უმუხტო,  
დემოკრატიულ ურნებით,  
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,  
შენ ძნელად განიკურნები!

\*\*\*

კაცს თვალეში ეტყობა ღმერთიც და  
ულმერთობაც!  
ზოგი ჩემით თამაშობს, ზოგიც შენით  
ერთობა!  
მე მიყურე თვალეში, მე მიყურე,  
ლამაზო,  
რომ ჟამთასვლას გალექილს პანლური  
ვუთავაზო!

\*\*\*

დამეკარგე მიტინგებზე...  
მეკვირვები, მეოცებზე...  
კაცად მაინც მიტირებდნენ...  
რად არ მოგვკვდი მეოცეში?!

\*\*\*

როდესაც ვცრუობ  
გამალებით გიმაღავ თვალეებს,  
შენ კი ჯიუტად დაეძებ რადგან  
იცო... ჩემ თვალეში ათასჯერ უფრო  
სინდისიერი კაცი ბინადრობს!

\*\*\*

ჩასაფრებულა სიბერე,  
ვით რევოლვერში ტყვია,  
ადამიანი თხლე არის,  
რადგან სიცოცხლის ტყვეა!

\*\*\*

ხელს ვიყოფ ჯიბეში და ცარიელია,  
ძალიან, ძალიან, ძალიან მრცხვენია!

ხელს მინვდის მოხუცი,  
პატარაც მინვდის ხელს...  
ისეთი განცდა მაქვს,  
თითქოსდა მიმნიხლეს!

ეს წვიმაც ტუტუცი  
კისერში ტყაპუნებს,  
აბა, რა კაცი ვარ,  
მტრედებს ვერ ვაპურებ!

ნარილი რაზო მიჰვალაქს

ბერიკაცივით მტკივა მუხლები,  
ფეხზე ჩავიცვი ბინდის სანდალი,  
ახალ ცხოვრებას ვით მოვუხდები,  
სხვა საუკუნის მთავარსარდალი!

ვბოლავ ქუჩაში, ვით აბანოში  
და თვალეებიდან ალბათ ინვიმებს,  
მივმართავ გზირებს: „ამდენ კანონში,  
რატომ არავინ მითვალისწინებს“!

მე ვარ პოეტი, მე ვარ კანონი!  
ისევე შემომრჩა ჯიგრის ჯანი მე,  
მზეო, ამოდი! მზეო, ამოდი!  
თორემ წყვდიადით  
დამაჯარიმეს!

\*\*\*

შენ ახლა ახალგაზრდა ხარ,  
ჯან-ლონით საყვარელი,  
ცა ქუდად არ მიგაჩნია  
და დედამინა ქალამნად,  
შხამიც რომ მოგანოდონ  
უკვდავების ვაშლად შეირგებ.

და როცა აღიმართები და შენ წილ  
გზაზე ნაბიჯს გადადგამ,  
ძირს დაიხედე!

ძირს დაიხედე, შვილო!  
ვინმეს არ დააბიჯო, რადგან  
ის, ვინც არ უნდა იყოს  
და რაც არ უნდა ერქვას,  
მაინც მე ვიქნები!

„ის“ ანუ „ისინი“

რვალარიან სივარეტს მბოლოებს  
და ჰკონია,  
გორჩა ხარანაული ნაკადულის  
ფონია!

არაგვი ვარ, რეგვენო!  
თანაც თვეში აპრილის  
და კალმახი შუბივით  
ჯიგარში მაქვს გაყრილი!

შენისთანა ვირთხებით,  
შენისთანა ღორებით,  
დამირჩა საქართველო  
საძებარ-საპოვნელი!

დედა

რომ დამინახავს - თენდება თითქოს,  
- მაკოცე, შვილო! -  
და მკოცნის თვითონ!

შვილიშვილს ჩემი სახელით უხმობს,  
სამყაროს უმზერს ზრუნვით უღვევით,  
თუ მსაყვედურობს - თვალეებით, უხმოდ  
და ყველაფერში მე ვეგულები!

როგორ მინდოდა ჩემით ეხარა,  
ვყოფილიყავი მისი ნუგეში,  
მაგრამ აღმოჩნდა მთელი ქვეყანა  
ჩემთვის აკრძალულ საუკუნეში!

აბრაელი კაცის ლოცვა

ბეთლემი, ტაძარი, ადგილი, სად-  
აც იშვა ქრისტე. „კაცი იყავ კაცური და  
სადაც გინდა იქ ილოცე“ და ვლოცუ-  
ლობ მკეერდში დაჭრილი საქართველოს  
გამთლიანებაზე, ქართველი ვაჟკაცების  
თვალეები ნაღვლიანი რომ არასდროს  
იყოს, ქართველი ქალის მკეერდში რძე  
რომ არასდროს დაშრეს, ერი რომ გამ-  
რავლდეს, ყოველი ოჯახი რომ სულიერი  
სიმშვიდით ცხოვრობდეს და ქართველ  
ქალბატონებს უცხოეთში წასვლა არ  
სჭირდებოდეთ, რათა შვილებს საზრდო  
გამოუგზავნონ. ქართველ ვაჟკაცებს,  
ქალიშვილებს, ერსა და ბერს სიამაყის  
გრძნობით დაუფლებულეებს ამაღლებუ-  
ლი ქართული სულით რომ იცხოვრონ და  
არა, როგორც უცხოტომებისათვის მომ-  
სახურების სფეროში დასაქმებულეება.

აი, აქ, ამ დიდებული ქრისტიანული  
ტაძრის წინ მდგომი, მე ჩემი სარწმუნოე-  
ბითებრაელი, ქართულ მიწაზე დაბადებუ-  
ლი, მეტყველებით ქართველი, ვლოცავ  
ქართველი ქალის წმინდა მანდილს, ქა-  
რთული სიტყვის მადლს, გლეხი კაცის  
დაკოჟრილ ხელეებს, ქართულ ვაზს და  
მის ცრემლებს, ჩემს საყვარელ ბანძას,  
სამეგრელოს ერთ პატარა სოფელს, სად-  
აც გვასწავლეს ჭირში და ლხინში ერთად  
დგომა, ენის, მინისა და სამშობლოს სიყ-  
ვარული ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა.

ვლოცავ დაჭრილ საქართველოს, ვუ-  
სურვებ გამთლიანებას და აყვავებას.  
ვუსურვებ თითოეულ მის ოჯახს, ნები-  
სმიერი ერის შვილს, ვისაც ერთმანეთის  
ბედნიერება სწყურია და საქართველოს  
აღმასვლა სურთ და უხარიათ, ვლოცავ  
იმ დიდებულ ქართულ მიწას, ვინც გამომ-  
კვება, გამომზარდა და დღემდე მოიტანა  
ჩემი სიცოცხლე; მიწას, რომელმაც მიიბა-  
რა დედაჩემის ნეშტი დამპალოს სასაფ-  
ლაოზე. უკუნითი უკუნისამდე ლოცვას  
ვუგზავნი ქვეყანას, ხალხს, სადაც ყოვე-  
ლთვის იბადებოდნენ ბედნიერი ადამი-  
ანები და კვლავაც მინდა იბადებოდეს,  
ერთმანეთის ბედნიერება უნდა გვიხ-  
აროდეს, ასეც იქნება! ამიტომაც ხმამალ-  
ლა ვიძახი და ვლოცულობ ლეგენდებით  
მდიდარი ტაძრიდან, ადგილიდან, სადაც  
იშვა იესო: „კაცი იყავ კაცური და სადაც  
გინდა იქ ილოცე“.

„გულთა კავშირის“  
პრეზიდენტი რობერტ ადარი  
(აჯიაშვილი)

\*\*\*  
დამალა მე ამ ქვეყანამ,  
ძვლების ტვინამდე გამხრა,  
გზად შემოყრილო ქართველო,  
ემშაკის პირმშოს გავხარ.  
დამთუთქა მე ამ ქვეყანამ,  
რიყეს მანარცხა ქვიანს,  
არადა, როგორ დავწყევლო,  
ჩემი სამშობლო ჰქვია!

მინანარი სვალინდელზა

(ანუ დამხმარე ტექსტი ხვალინდელი  
კალმოსნებისთვის)

მე ვარ, ვიქნები პოეტი-მონა,  
მე ვარ პოეტი მუამბოხე,  
მე არა ვარ თვითმკაცოფილი პოეტი,  
მე ვარ პოეტი - უკმაყოფილო,  
მე არა ვარ სათბურის პოეტი,  
მე წვიმების და ქარების პოეტი ვარ.

მე ვარ, ვიქნები მიღებული სიბნელის  
მიერ,

რადგან სიბნელე არ მივიღე მე!  
მე არა ვარ ბედნიერი პოეტი,  
რადგან ამის უფლება არ მაქვს!

მე არა ვარ არც კარგი და არც ცუდი,  
არც ამაყი და არც თავმდაბალი,  
არც დიდი და არც პატარა...  
მე სამართლიანი ვარ!

მე ვერ ვიქნები თქვენი მოსაწონი,  
რადგან სხვადასხვა ნაპირზე  
ვდგავართ!

თქვენ ვერ შენუხდებით ჩემთვის,  
რადგან არ იცით რაა ნუხილი...  
ჩვენ, ორივე მოუსვენრები ვართ  
მიზეზით განსხვავებულით -  
თქვენ ზედმეტი მიირთვით...  
და ვერ ინელებთ!

მე მიყვარს სამყარო და  
არ მსურს, გონჯი სამყარო მიყვარდეს,



## პროექტი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წესდება

### I. ზოგადი დებულებები

1.1. კავშირის სრული სახელწოდებაა „საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი“ (შემდეგში კავშირი). იგი წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადით შექმნილ საჯარო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია და თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემოქმედებითი მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად. კავშირის სამართლებრივი ფორმაა „შემოქმედებითი კავშირი“.

1.2. კავშირი წარმოადგენს 1917 წელს მწერალთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის ტრადიციების გამგრძელებელს, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა იუსტიციის სამინისტროში 1992 წლის 24 აპრილს, შემდეგ მთავრობის რაიონის სასამართლოში 1998 წლის 29 დეკემბერს, იუსტიციის სამინისტროში 2001 წლის 5 იანვარს და 2004 წლის 8 აპრილს (391 ბრძ. და 2014 წლის 1 ივლისს 454) იურიდიული პირის უფლებამოსიან ცვლილების წესით.

1.3. კავშირის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

1.4. კავშირს აქვს თავისი ბუქვადი, სიმბოლიკა, ანგარიში ბანკში, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაზე და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები;

1.5. კავშირის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მაჩაბლის ქ. 13, მწერალთა სასახლე.

### II. კავშირის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

2.1. კავშირი არის მწერალთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შექმნილი თავისუფალი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანს წარმოადგენს ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნა, მწერალთა პროფესიული ინტერესების, აგრეთვე ეროვნული ღირებულებების დაცვა, ქართული სამწერლო მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნება.

2.2. ამ მიზნით: კავშირი მონაწილეობს საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო ფირმებისა და ცალკე იურიდიული პირების მიერ ლიტერატურის და ხელოვნების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების, კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას რეკომენდაციების მომზადებაში;

2.3. კავშირი აქტიური შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის მართავს ლიტერატურულ ღონისძიებებს, წიგნების განხილვას, დისკუსიებს, კონფერენციებს, სემინარებს, აღნიშნავს მწერალთა იუბილეებს, მონაწილეობს კლასიკოსებთან დაკავშირებული სახალხო დღესასწაულების ორგანიზებასა და წარმართვაში, სხვადასხვა თაობის მწერალთა შემოქმედებითი მიღწეების პოპულარიზაციისათვის;

2.4. ზრუნავს მწერალთა ახალი თაობის პროფესიული დაოსტატებისა და სამწერლო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის;

2.5. იღწვის მწერალთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ზრუნავს მათი პროფესიული ინტერესების, საავტორო უფლებების დაცვისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ;

2.6. ესწრაფვის საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობების გაფართოებასა და განვითარებას, ხელს უწყობს საზღვარგარეთელი მწერლების საუკეთესო ნიმუშების თარგმნას ქართულ ენაზე და პირიქით;

2.7. მონაწილეობს მწერლობასთან და კულტურასთან დაკავშირებული მოკლე თუ გრძელვადიანი სახელმწიფო თუ საერთაშორისო პროექტების და პროგრამების განხორციელებაში;

2.8. ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, კანონის შესაბამისად აარსებს გამომცემლობებს, ყურნაღებს, აღმანახებს, გაზუბავს, ფონდ-

ებს, სხვა დანებსებულებებს, აჯილდოებს და ანიჭებს ლიტერატურულ პრემიებს. მონაწილეობს სამეცნიერო ინსტიტუტებთან ერთად ანთოლოგიების, ენციკლოპედიების და სხვა სასკოლო სახელმძღვანელოების და საცნობარო ლიტერატურის შედგენა-გამოცემაში;

2.9. კავშირის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიული პირებიდან, სახელმწიფო თუ სხვა კომერციული სტრუქტურებიდან, სხვა კანონიერი წყაროებიდან მოხილული სახსრები მიმართული იქნება კავშირის სანესდებო მიზნების განსახორციელებლად.

2.10. კავშირი კულტურის განვითარების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინების, შემოქმედებითი ინიციატივის ხელშეწყობის მიზნით, უფლებამოსილია განახორციელოს ყველა სხვა სახის საქმიანობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული არ არის. საქმიანობის იმ სახეს, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, კავშირი განახორციელებს მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემთხვევაში.

2.11. კავშირს შეუძლია განახორციელოს კანონით დადგენილი წესით დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობა, რომლის შედეგად მიღებული ამონაგები უნდა მოხმარდეს კავშირის მიზნებს და დაუშვებელია მისი გადახანაწილება კავშირის წევრებზე დივიდენდების სახით.

### III. კავშირის არსებობისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

3.1. დემოკრატიული მმართველობა, კავშირის ყველა წევრის თანასწორუფლებიანობა, საჯაროობა და კანონიერება;

3.2. ეროვნულ და საკაცობრიო შეხედულებათა ერთიანობა, ნებაყოფლობითობა.

3.3. კავშირი საკუთარ და სხვა ბუქვადით ორგანოებში აქვეყნებს მის მიერ მიღებულ ძირითად დოკუმენტებს, ინფორმაციას მწერალთა კავშირის წევრთა რაოდენობის შესახებ, ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობას, მონაცემებს საფინანსო წყაროებისა და ხარჯების შესახებ.

### IV. კავშირის წევრად მიღება და კავშირის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

4.1. კავშირის წევრად მიღებას ახორციელებს მიმღებ კომისია სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.2. კავშირის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც აღიარებს კავშირის წესდებას და განცხადებით მიმართავს კავშირის ხელმძღვანელობას წევრად მიღების თაობაზე;

4.3. კავშირის წევრებს ეძლევათ ერთიანი ნიმუშის საწევრო ბილეთი.

4.4. კავშირიდან გასულად ითვლება მწერალი, რომელიც ამის შესახებ კავშირის ხელმძღვანელ პირს ან მუდმივმოქმედ ხელმძღვანელ ორგანოს წერილობით ან საინფორმაციო საშუალებებით განუცხადებს.

4.5. კავშირის წევრი კავშირიდან გასულად ჩაითვლება, გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე თუ მორალურ ან მატერიალურ ზიანს მიაყენებს კავშირს (ან მის ცალკეულ წევრებს). ამასთან კავშირიდან დათხოვნილ წევრს უფლება აქვს აპელაციით მიმართოს კავშირის მორგეობას.

4.6. კავშირის წევრს უფლება აქვს: აირჩიოს და არჩეულ იქნას კავშირის ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში.

დაბუქდოს თავისი ნაწარმოებები კავშირის ბუქვადით ორგანოებში (გაზეთი, ყურნალი, აღმანახი) და გამოსცეს თავისი წიგნი (წიგნები) კავშირის გამომცემლობაში და სხვაგან;

ისარგებლოს კავშირისა და მისი ფონდების, თანამდეროვე კომუნიკაციების დახმარებით, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და საყოფაცხოვრებო დანესებულებათა მომსახურებით;

მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია კავშირის ნებისმიერი ხელმძღვანელი პირის, ორგანოებისა და ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

4.7. კავშირის წევრი ვალდებულია:

დაიცავს კავშირის წესდების მოთხოვნები; აქტიური მონაწილეობა მიიღოს კავშირის საქმიანობაში;

დაიცავს კავშირის ერთიანობა, იზრუნოს მისი საზოგადოებრივი და ეროვნული ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

გადაიხადოს კავშირის საწევრო შესატანი დადგენილი წესით.

### V. კავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის ორგანოები

5.1. კავშირის უმაღლესი ორგანოებია: ყრილობა (საერთო კრება) კავშირის მართვის უმაღლესი ორგანო ყრილობებს შორის პერიოდში არის გამგეობა.

5.2. კავშირის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი თანამდებობებია:

1. 5 კაციანი სამდივნო წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილებით.

### VI. ყრილობა (საერთო კრება)

6.1. კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა „ყრილობა“, რომელიც მოიწვევა 5 წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნას ორი თვის ვადაში კავშირის თავმჯდომარის ან კავშირის წევრთა 1/3-ზე მეტის ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით დღის წესრიგის მიითითებით, ამასთან მოთხოვნა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და გამომდინარეობდეს კავშირის საქმიანობაში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი დარღვევის, ან სხვა საფუძველზე მოტივით. კავშირის სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ და უზრუნველყოფს ყრილობის მოწვევას;

6.2. კავშირის თავმჯდომარეს აღმოჩენილი სერიოზული დარღვევების შემთხვევაში შეუძლია გამგეობის თანხმობის გარეშე მოინვიოს რიგგარეშე ყრილობა;

6.3. ყრილობის მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს და ინფორმაცია ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს საინფორმაციო საშუალებებით ყრილობამდე ერთი თვით ადრე მაინც.

6.4. ყრილობა უფლებამოსილია თუ რეგისტრაციის გაივლის კავშირის წევრთა ნახევარზე მეტი, ყრილობის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კავშირის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას სჭირდება კავშირის ყველა წევრის ხმათა ორი მესამედი. იმ მწერლებს, რომლებიც საპატიო მიზეზით ვერ ესწრებიან ყრილობას, შეუძლიათ სათანადოდ დამონმებული დოკუმენტის საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში, ისინი უთანაბრდებიან ყრილობაზე დამსწრე წევრებს.

6.5. კავშირის ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დღის წესრიგში როგორც წინასწარ, ასევე ყრილობის პროცესში დამსწრეთა ხმების უმრავლესობით შეტანილ საკითხზე.

6.6. ყრილობა ამტკიცებს კავშირის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დაამტკიცებ.

6.7. ყრილობა პირდაპირი, ფარული ან ღია კენჭისყრით 5 (ხუთი) წლის ვადით ირჩევს გამგეობას 35 (ოცდათხუთმეტი) მწერლის შემადგენლობით, ასევე სამდივნოს 5-კაციანი შემადგენლობით, რომელიც ამავდროულად არის გამგეობის წევრი.

სამდივნოს წევრები დებენ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც წესრიგდება კავშირის საქმიანობასთან ან/და სამდივნოს წევრების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები.

ამ შეთანხმების საფუძველზე, რაკი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს (5-კაციანი სამდივნო), კავშირს თითოეული წარმომადგენლის ერთობლივად.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 5-კაციანი სამდივნოში შემავალი სუბიექტები, რომლებიც ასევე წარმომადგენენ თანათავმჯდომარეებს წარმომადგენელ ხელმძღვანელ/პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც წარმართავენ კავშირისა და მისი გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფენ აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერენ და პასუხისმგებელი არიან გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებაზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის 5-კაციანი სამდივნო არჩეულია ყრილობის მიერ პირდაპირი ფარული, ან ღია კენჭისყრით ალტერნატიულ საფუძველზე, მისი ხელახალი არჩევის უფლებით.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სამდივნოს ცალკეულ წევრს, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, საკუთარ უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის დელეგირება შეუძლია მთლიანად გადასცეს კავშირის ხელმძღვანელ სხვა პირს, თანახმად შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილისა.

სამდივნოს წევრებს აქვთ თანაბარი უფლება გაეცნონ შემოქმედებითი კავშირის ნებისმიერ დოკუმენტაციას, მიიღონ ნებისმიერი პუბლიკაცია დაკავშირებული კავშირის საქმიანობასთან და შეამოწმონ ნლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნონ საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან სარევიზიო კომისიისგან გამოითხოვონ ამგვარი საბუთები.

სამდივნოს რომელიმე წევრის მხრიდან კანონმდებლობის განზრახი ან/და უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სამდივნოს დანარჩენ წევრებს შეუძლიათ მოახდინონ დამრღვევის დისკრედიტაცია. ამასთან, წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, იმ დოკუმენტაციის სისწორეზე, რაზეც აღნიშნულია მათი ფაქსიმილი (ხელმოწერის ნამდვილობა).

6.8. კავშირის თავმჯდომარე იმავდროულად არის გამგეობის თავმჯდომარე.

6.9. გამგეობის და სამდივნოს წევრობის კანდიდატთა დასახელება ხდება ყრილობაზე ზეპირი განცხადებით. კანდიდატებს კენჭი ეყრება ფარული ან ღია კენჭისყრით (ცალ-ცალკე ან ყველას ერთად (ყრილობის გადაწყვეტილებით)).

6.11. დაუშვებელია თავმჯდომარის ან მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე თანათავმჯდომარეების დაკავებულ თანამდებობიდან გათავისუფლება. გამონაკლისს წარმოადგენს წესდების მოთხოვნათა უხეში დარღვევა ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი;

### VII. მწერალთა კავშირის გამგეობა

7.1. ყრილობებს შორის კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა გამგეობა;

7.2. გამგეობის წევრები აირჩევა ყრილობაზე ღია კენჭისყრით 5 (ხუთი) წლის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე;

7.3. გამგეობა შედგება ყრილობაზე არჩეული წევრებისა და სამდივნოსგან;

7.4. გამგეობის სხდომა იმართება ხუთ თვეში ერთხელ მაინც;

7.5. გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს გამგეობის თავმჯდომარეს ან გამგეობის წევრთა 1/3-ს ან სარევიზიო კომისიას. გამგეობის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება (ან წარმომადგენილია) მის წევრთა ნახევარი მაინც;

7.6. გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის ყველა წევრს აქვს ერთი ხმა;

7.7. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ან წარმოდგენილ ხმათა უბრალო უმრავლესობით;

7.8. თუ გამგეობის წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია ხმა მისცეს გადასაწყვეტ საკითხს სათანადოდ დამონმებული დოკუმენტის საფუძველზე, გადასცეს საკუთარი ხმა კავშირის სხვა წევრს;

7.9. გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

განსაზღვრავს წევრთა ყრილობაზე დელეგირების ნორმებს;

განაგებს კავშირის ქონებას და სახსრებს; გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება: გადაწყვეტილებათა მიღება კავშირის უძრავ-მოძრავი ქონების განკარგვის, კავშირის კუთვნილი შენობა-ნაგებობების და სხვა ქონების იჯარით გაცემის, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ან სხვა ქონებრივი ხელშეკრულებების განხილვა და დამტკიცება, ურთიერთობების მოწესრიგება იმ ორგანიზაციებთან, რომელთა დაფუძნებაც კავშირი მონაწილეობს წილობრივად;

კავშირის თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს კავშირის ფონდების, ცენტრალ-

ნესდება, ხეცენზია

ური აპარატის არქივის, ბიბლიოთეკების, საფინანსო განყოფილების, ფილიალების (ადგილობრივი ორგანიზაციების) დებულებებს; იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის ფილიალების (ადგილობრივი ორგანიზაციების) კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირების ფონდებისა და კავშირების დაფუძნების შესახებ და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას; ისმენს თავმჯდომარის ან თანათავმჯდომარეების ინფორმაციას კავშირის მიმდინარე საქმიანობის შესახებ; შემოწმავს რეკომენდაციებს კავშირის წლიური საწევრო გადასახადის ოდენობის შესახებ; და დასამტკიცებლად წარუდგენს ყრილობას; შემოწმავს და ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის განუყოფელი საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს; ქმნის სამუშაო გეგმებს, სექციებს, სექტორებს, განყოფილებებს, კომისიებს, ამტკიცებს მათ დებულებას და ირჩევს მათ თავმჯდომარეებსა და შემადგენლობას; იღებს სხვა გადაწყვეტილებებს საწევროდ მიზნების მისაღწევად. სამდივნოს გააჩნია წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობა უფლებამოსილება. ხოლო გამგეობის 35-კაციან (ოცდათხუთმეტი) შემადგენლობას (გარდა იმ 5 წევრისა, რომელიც წარმომადგენს სამდივნოს 5-კაციან შემადგენლობას) მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლობა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილება არ გააჩნია. მათ შეუძლიათ სარეკომენდაციო წინადადებით მიმართონ სამდივნოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა მათ მიერ წარდგენილი წინადადება იურიდიულ ძალას შეიძენს გამგეობის მიერ მოწონების შემთხვევაში.

VIII. თანათავმჯდომარეები, (დასახელებულია ხუთივე კავშირის სამდივნოდან)

8.1. თავმჯდომარე: უძღვება კავშირის მიმდინარე საქმიანობას; ხელმძღვანელობს კავშირის აპარატს; წარმოადგენს კავშირს მესამე პირებთან ურთიერთობაში; გამგეობის თანხმობით ახორციელებს კავშირის მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია ფინანსური სახსრების გამოყენებაზე; ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და კოორდინაციას უწევს კომისიების მუშაობას; გამგეობას წარუდგენს კავშირის განუყოფელი საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის პროექტს; ხელს აწერს კავშირის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას; გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის ცენტრალური აპარატისა და ადგილობრივი ფილიალების დებულებების პროექტებს; ნიშნავს კავშირის სამსახურების ხელმძღვანელებს, აპარატის თანამშრომლებს, მიზნობრივი პროექტების კოორდინატორებს და დამხმარე პერსონალს; ხელმძღვანელობს კავშირის მიზნობრივი პროექტების განხორციელებას; გამოსცემს ბრძანებებს; ასრულებს სხვა ფუნქციებს საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში; წყვეტს სხვა საკითხებს, რომელთა უფლებაც გააჩნია კანონის საფუძველზე და რომლებიც ამ ნესდებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოთა უფლებამოსილებას. 8.2. თანათავმჯდომარეები: თავმჯდომარესთან ერთად უზრუნველყოფენ კავშირის ნესდების დაცვას და გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას; მუშაობენ საორგანიზაციო, საკანონმდებლო და შემოქმედებით პროექტებზე; მწერალთა სოციალური დაცვის საკითხებზე, საგამომცემლო საქმიანობაზე; თავმჯდომარის არყოფნის ან სხვა შემთხვევაში საბჭოს დავალებით ასრულებენ მის ფუნქციებს.

IX. კავშირის საკუთრება (ქონება) და შემოსავლის წყაროები

9.1. კავშირს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს მიწის ნაკვეთი, შენობები, ნაგებობები, სამედიცინო დაწესებულებები, დასასვენებელი და შემოქმედებითი სახლები, გამომცემლობები, საცხოვრებელი ფონდი,

საწარმოები და ორგანიზაციები, წიგნის მალაზიები, ჟურნალ-გაზეთებისა და მათი სარეალიზაციო საშუალებები, ტრანსპორტი, ფული, ფასიანი ქაღალდები, სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რაც მას ესაჭიროება საწევროდ მიზნების განხორციელებისათვის და ნებადართულია კანონით; 9.2. კავშირის ქონების და ფინანსების ფორმირების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი; კავშირის გამგებლობაში არსებული ქონებიდან მიღებული შემოსავლები; საწევრო შესატანები; მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი სახელმწიფო თუ საერთაშორისო პროექტების და პროგრამების შექმნითა და განხორციელებით მიღებული სუბსიდიები თუ შემოსავლები; იურიდიული და ფიზიკურ პირთა ნებაყოფლობითი შემოწირულობები, ან ნაანდერძევი ქონება, გრანტები; კანონით ნებადართული დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები, კანონიერი გზით მიღებული საიჯარო შემოსავლები; კულტურულ-გასართობი, შემოქმედებითი და სხვა ფასიანი ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები; კანონიერი გზით მიღებული სხვა შემოსავლები. 9.3. კავშირის ქონება ერთიანი და განუყოფელია, იგი არ შეიძლება განაწილდეს კავშირის წევრთა შორის, კავშირიდან გასულ მწერლებს ან მწერალთა გაერთიანებებს არა აქვთ ქონებრივი წილის მოთხოვნის უფლება, მათი იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემთხვევაშიც კი.

X. კავშირის საქმიანობაზე კონტროლი.

10.1. კავშირის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია, რომელსაც ირჩევს ყრილობა 5 წლის ვადით, არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით; 10.2. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს კავშირის საფინანსო-სახელმწიფო დოკუმენტების რევიზია, კონტროლი გაუწიოს კავშირის ქონების მართვას, შემოსავლების ხარჯვას, პერიოდულად მოითხოვოს ანგარიშების წარდგენა კავშირის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. განსაკუთრებულ შემთხვევაში მოიწვიოს საბჭოს სხდომები; 10.3. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს; 10.4. სარევიზიო კომისიის სხდომები აუცილებლად მოიწვევა წლის ბოლოს და იხილავს კავშირის საფინანსო საქმიანობის წლიურ შედეგებს, კომისიის სხდომები შეიძლება მოწვეულ იქნას აგრეთვე საჭიროებისამებრ თავმჯდომარის ან კავშირის წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნით; 10.5. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით; 10.6. კავშირის სამეწარმეო სამეურნეო და საფინანსო სახელმწიფო კონტროლს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი მარეგისტრირებული ორგანიზაციები.

XI. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

11.1. კავშირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. გადაწყვეტილებას ძირეული რეორგანიზაციის შესახებ იღებს ყრილობა, რისთვისაც საჭიროა წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი; 11.2. კავშირის ლიკვიდაცია ხდება: ყრილობის გადაწყვეტილებით, რისთვისაც საჭიროა წევრთა სრული შემადგენლობის 2/3; 11.3. ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. 11.4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონება შეიძლება განაწილდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს მწერალთა კავშირის საწევროდ კომისია

ორიოდე სიტყვა ბატონ რევაზ მიშველაძის რომანზე „ნამება“

რუსთაველის პრემიის ლაურეატის, მწერალ რევაზ მიშველაძის რომანის - „ნამების“ რიგითი მკითხველი ხმამაღლა ვიტყვი, რომ დღევანდელ სინამდვილეში ნოველების უბადლო ოსტატი, ვრცელ ჟანრშიც - რომანისტიკა რომ ჰქვია სახელად, მართლაც შეუდარებელია. იგი სხარტი ამბებითა და ადვილგასაგები ენით გასაოცრად იპყრობს მკითხველთა არმიას.

რომ იტყვიან, თავს ვერ ვუყერი სათქმელს, ვერ გადმოვცემ იმ განცდა-ემოციებს, რაც ამ თხზულების გაცნობისას მივიღე, უფრორე, მომეწონა მკითხველ-„სტუდენტებისადმი“ ლექციების ფორმით ქვეყნის მაჯისცემის გადმოცემა. მტკივნეულია, მწარე სინამდვილეა ასახული ყოველ ლექციისაში, სადაც საუბარია გაუბედურებულ ჩვენს წარსულზე; უფრო საგანგაშოა აწმყო და მომავალიც კითხვის ნიშნის ქვეშაა. ამ რომანში მწერალი დაურიდებლად ამხელს ამდენი გადამთიელის საქართველოში ჩამოყრა-ჩამოსახლებით ვაიპოლიტიკოსები როგორ ართმევენ მომავალს ქართველებს. ნანარმოების გმირის, გიგლია კვატაშიძის არ იყოს, გარობოტებულ მამულში დაბრუნებულ იბერს საკუთარ ქვეყანაში გოჯი მიწა არ დახვდა საყიდლად. წინაპრებისას გადამთიელები დაპატრონებინან. „უნდა ჩააგონოთ ბავშვებს, რომ წართმეული მიწების დაბრუნება მათი წმიდათაწმიდა მოვალეობაა“.

ვინც რეალურად შეხედავს დღევანდელობას, ამდენი ნებაყოფლობითი, უიარალო, მწვანე ქაღალდებით (დოლარით) ქვეყნის დაპყრობა ცისქვეშეთში არსადაა საქართველოს გარდა. ყველაფრის მომთმენ-მიმტევებელი, გადამთიელთათვის მიწების გამჩუქებლების რალა მაინდამაინც ჩვენ უნდა ვიყოთ შვიდმილიარდიან პლანეტაზე? თითო-ოროლა მეფის გარდა ვინ იბრძოდა ჩვენი მიწებისთვის? რაც მეფეებმა შეგვინარჩუნეს აგერ, გუშინ სოხუმი, კოდორი, სამაჩაბლო ლანგრით მიართვეს პრეზიდენტებმა რუსეთს. ახლა მომავალ თაობას ვუტოვებთ მცირე იბერიას და ვეუბნებით: დაიბრუნეთ მავან ქართველთა გაჩუქებული... „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“... წმინდან დავით მეფის ბრძოლითა და სულმნათი მურმანის ამ ლექსით ვამაყობთ...

პროფესორ ლევნ კაკაბაძის ლექციებით ჩვენი ისტორიის სინამდვილეა ასახული. ადამიანი, რომელიც წლობით ემსახურებოდა მომავალი თაობის მამულიშვილებად აღზრდას. ერთ დღესაც ოკეანედალეულმა ლლაპებმა უნივერსიტეტიდან გააგდეს. ფეხქვეშ გათელეს მისი დამსახურებები, ღირსება, ღვაწლი

სამშობლოსადმი და უბოდიშოდ მიაბრძანეს გარეთ. ბატონი ლევანის ლექციებით, მწერალი გადმოგვცემს საქართველოს ყველა დროის მაჯისცემას, ქვეყნის მესვეურთა ავ-კარგს. როგორ იყვნენ მავანნი მუდამ სხვის დახმარებას მიჩრებულნი, რომლებიც პირველი გარბოდნენ ომიდან, დამპყრობლებმა მოტყუებულ ქართველთ „წიგნი ფიცისა“ როგორ დაგვადებინეს და სწორედ ის რუსეთი დღესაც მცოცავ-მხოხავი ანექსიით როგორ იკმაყოფილებს თავის მტაცებლურ მადას და „შაგრენის ტყავით“ აპატარავებს ისედაც გაუბედურებულ, დასავლეთის მიერ მოტყუებულ საქართველოს.

მეგრელ-აფხაზთა დიალოგში კარგად შემოდის „უნა-უნა. პოტიკი, კაჭა, ბაშლაც, აბლაძერა, აბვაქ“. პროფესორი კაკაბაძე, ალბათ, არა მარტო ჩემი, არამედ დანარჩენ რიგითი ქართველის პოზიციას, სათქმელს, დარდს გადმოგვცემს. სრულიად გაულამაზებლად და დახატული რეალური საქართველოს სახე: ტოტლებენის „დახმარება“, ტაბახმელასთან დალუპული გულანთებული ჭაბუკები, რეპრესიები, 1918-21 წლები, 90-იდან მოყოლებული დღემდე გაყიდულ-გაძარცვულ-გაჩანაგებული სამშობლოს ტანჯული ყოფიერება. მრავალპარტიულობის მანია, როცა პარტიები თავკაცინად ქვეყნისთვის ფიქრში კი არ ათენ-ალამებენ, არამედ ოპოზიციონერობა პირადი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ.

სამშობლოს ავისმსურველთა მიერ უნივერსიტეტიდან გაძევებულ პროფესორ კაკაბაძეს მოსვენებას არ აძლევს ბედკრული მამულის ბედი. სასონარკვეთილი თბილისის ზღვაში თავის დახრჩობას დააპირებს, მაგრამ გადაარჩენენ. ბოლოს ის ბერად აღიკვეცება შიომღვიმის მონასტერში, სადაც საქართველოზე ილოცებს, შესთხოვს მამაზეციერს, ღვთისმშობელს, იხსნას მისი ქვეყანა მოძალებული შინაური თუ გარეუმი მტრებისგან. დაასვენებს მოყვასთაგან დამცირებულ-აფორიაქებულ სულს.

მე, ბერების მეიმედება, ბატონო რევაზ, მეიმედება მათი გულმხურვალე ლოცვებისა, თორემ ერთი თქვენი პერსონაჟისა არ იყოს: „ქართველი ქართველს ჯერჯერობით ზუსტად ახვედრებს“...

რომანი „ნამება“ მართლაც მრავალნატიანე საქართველოს მხატვრული ბიოგრაფიაა და მწერალი, როგორც აქამდე, გვევლინება მიუკერძოებელ მემატიანედ და ქართველთა მსაჯულ-მეოხად.

ნანა ხუფენია რეჟისორი



თინა ჭყუია

დილის პატარა სუიტა, შემორჩეული ყვავის თანხლებით

ყოველდღე ჯდება შუქის ბოძზე შემორჩეული ყვავი. ხმას არ იღებს და უცნაურად უმზერს ფანჯრის რაფაზე დადგმულ ყავას. ხომ არ გასინჯავთ ბატონო ყვავო? ხომ არ დავლიოთ ერთად? გატრუნულია, არც კი ინძრევა. თითქოს მახსენებს რენე მაგრიტის ნახატს. ზის ასე კენტად, ისე რამდენჯერ გამკრა ფიქრმა, ვინმე სხვა ხომ არ არის ნეტავ? და ამ ფიქრებში მივდივარ გზაზე, სოფლად მიმოზაჰყვავის. სკოლის ეზოში, სეკვოიებთან დიდი ბუდეა ყვავის, უშნო ბახალას ცუდად დასდევს და გასაჭყლეტად მიიწევს ბავშვი. იქვე დედაა, გვერდით ბებია და ხმას არ იღებს არვინ, აუჰ! მახსენდება, (ჯანდაბა ჩემს თავს), როგორ ვატკინე ბავშვს თოთო, წვრილი მკლავი. მაგრამ ბახალა, ძლიერ ნატანჯი, სადღაც შორს ბურქზე დავსვი, ხოლო დედამ და ბავშვის ბებიამ მკაცრად ასწიეს წარბი. უცებ ხმაურმა გამომაფხიზლა და ქუჩის გაღმა, ქუჩის ბოძიდან ფრთების ფატქუნით ჩემთან დაეშვა, ფანჯრის რაფაზე ის გატრუნული ყვავი.

ცხოვრების თეატრი

სიარული მიყვარს მარტო, ხან ვლივინებ, ხან კი გადავდივარ სალტოს. თქვენ იფიქრეთ, რომ ვხუმრობ? მაგრამ ვხედავ, რომ გელიმებათ და გეტყვით რატომ, მიხვდით ხომ? მტრედები მყავს, სხვებს არა... ჰოდა, მიგუყვები თემშარას. ისინი მიყურებენ და ელიმებათ. მე ვხარხარებ, თან მეტირება. მერე მიხარია, რომ ნამოეგენ, აბა, როგორია! ძმებო, მენდეთ. სპექტაკლს აქვს დიდი რეაქცია. ცხოვრება აბსურდის თეატრია. მე მინდა გადავიდე სალტოს, მაგრამ ხელს შემოშლის პალტო. ხალხი უმეცრად ილიმება. მტრედები თავზე მასხდებიან, მე ვიმარჯვებ ჩემს თავზე, ისინი? ისინი სრულიად მარცხდებიან.

2018 წლის ზაფხულის ქრონიკები

მე ვბრუნდებოდი კლინიკიდან დაღლილი სახლში, გამოვიარე გოგოლის ქუჩა, ჩამოვუყევი გოგი დოლიძეს. წვიმდა. ფოთლები მომდევდნენ ბლუჯად, მიაქანებდა წყალი თავქვე მკვდარ ზაფხულს ურჩად. იყო წელი 2018, ცამ ჩამოაქცია ღრუბლების ნამეტი. გადავუხვიე კლდიაშვილის კუთხეში, გოგო ბიჭს საქმეს ურჩევდა უხეშად. ფოთლები ახდლი სანიაღვრეში საფლავდებოდნენ და ბოლო წუთებს რომ ითვლიდნენ, ვეღარ ხვდებოდნენ, გვერდით ეზოდან თეთრ ფისოს ძალლი უკან მოსდევდა თავის ძალს ბალღი, იდგა დეკემბრის პირველი და მე ვიყავი ამ სურათების თვითმხილველი. წვიმდა. ვბრუნდებოდი თოდუას კლინიკიდან სახლში და ათასი სისულელე მომდიოდა თავში.



აზა ბასლანიძე

ფისო და აკვარიუმი

აკვარიუმს აკვირდება ფისო თვალის ცეცებით, როგორ სწრაფად სრიალებენ წყალში ოქროს თევზები. გეგონება მარაოა პანანინა ფარფლები, ისე ნაზად ირხევიან მათი ცქერით დატკბები. თევზები კი მუდამ სდუმან, რას ფიქრობენ ნეტაო? ფისუნასთან მეგობრობა არ გვეპოვებოდა.

მეგობრობას გთავაზობ

პანანინა ღრუბელი, მოქუფრული რად ხარ? აბა, ყური დამიგდე, მოგიყვები ზღაპარს. მეგობრობას გთავაზობ, მეგობრობას მხოლოდ, პანანინა ღრუბელი, არ იტირო ოლონდ.

და იფრინე ლაღად

გამოვალე გალიის კარს და იფრინე ლაღად, მალლა-მალლა ლაჟვარდებში მზეს იხილავ, ალბათ.

შეფრთხილდა მალლა ტოტზე ჩემი ფანჯრის მიღმა და ჭიკჭიკით, - მადლობაო! - გადმოძახა ჩიტმა.

მაგალმა თქვა

ვიყივე და მთვარე გაქრა, გაიკრიფნენ ვარსკვლავებიც. მე რომ არა, მზის ამოსვლას იხილავდით პატარები?

ესა თქვა და მამლაცინამ იწყო ყინჩად სიარული, მზე ილიმის ლაჟვარდ ცაზე, დღე იწყება მხიარული.

პანანინის ოცნება

ბეჭემოტმა გამანდო: - ნეტა მქონდეს ფრთებიო, წუთით არ დავფიქრებდი, ცაში ავფრინდებო.

ლაჟვარდებში ვიქროლებ, როგორც ჩიტი-ნიბლია... ტოტზე ჩამოჯდომაზე? თურმე, არც უფიქრია.

სამშობლო სადღაც

სიცივეა ჯერაც, მინდვრად მოჩანს ლილო, მერცხალი კი ბუდესთან დაბრუნებას ცდილობს.

გადმოლახოს უნდა შორეული გზები, დაეღალა ალბათ, პანანინა ფრთები.

სამშობლო სადღაც და პანია კერა, ჰორიზონტზე რომ მოჩანს, ცისარტყელას ფერად.

გავიხარეთ პატარებმა

გავიხარეთ პატარებმა, - რა მზიანი დარებია! და ღრუბლებსაც ცხრათვალა მზე, თურმე როგორ ჰყვარებია.

საიდანღაც მოსულეები კაბადონზე იმდენია!.. მზე დაფარეს, შენუხდნენ და ახლა ცრემლად იღვრებიან.

გაზაფხულის დილა

გაზაფხულის დილაა, მზის ღიმილით ვთბები, მესმის სიოს ჩურჩული და ჭიკჭიკის ხმები.

ყივის ჩვენი მამალი, ფისოს სძინავს ტკბილად. ოქროსფერად გაბრწყინდა სხივგაშლილი დილა.

ჯუჯები

ნაძვი, ფიჭვი, მუხნარი, - ჩემს წინ ტყეა ულრანი! ტყეში ჯუჯა ბევრია, - მახსოვს, მითხრა ბებიამ.

პანანინა ჯუჯები, ზურგზე ციცქნა ფუთებით, ამ ფუთიდან ზღაპრებს უყვებიან ბალებს.

ტყის ბილიკებს გაყვები, - მოვისმინო ზღაპრები, დამელალოს ფეხები, ჯუჯებს მაინც შევხვდები!



თამაზ ზერეკიძე

ჩიტიისკაპიანი ანგელოზი

შეგებულემაში გასვლამდე ორი კვირაღა დარჩა. სოფელში მელიან. მშობლებს ალბათ უკვე გზისკენ უჭირავთ თვალი. მელიანებმა სახლის მშენებლობა, დაუმთავრებელი რომ გახდა - სურამის ციხესავით.

ტელეფონმა დარეკა. დეკანი იყო - უნდა შევხვედეთო. გულმა შუბლი შეიჭმუხნა - ეტყობა, გულსაც გულმა ცუდი უგრძნო.

შევეხვი. მაშინვე მივსვდი - დიდი ბრძოლისთვის ემზადებოდა.

- არ დამიწყო ისევ - სოფელიო, მშობლებიო, სახლიო! - გადმოვიდა პირდაპირ შეტყევაზე. ეტყობოდა, დიდი აღმაშენებლის შთამომავალი რომ იყო.

- დეკანია თუ ნათელმხილველი? - მხოლოდ ამის გაფიქრება მოვასწარი.

- რექტორმა დამიყოლია კომისიის თავმჯდომარეობაზე. სანიმუშო მისაღები გამოცდები უნდა ჩავატაროთ. იდეის ერთგული ხალხი მჭირდება. ორი დღე წერების ორგანიზებაში დამეხმარები. აპელაციები რომ დაიწყება - საპრეტენზიო კომისიას უხელმძღვანელებ. რექტორთან შენი კანდიდატურა უკვე შეთანხმებულია.

გავოგნდი! გამოდის, რომ სანამ მე - დედით რაჭველი, მამით კი რაჭველზე მძიმე ქართლელი პირის გაღების გადაწყვეტილებას მივიღებდი, ამ ჩაუქმა გურულმა ბრძანებაც დაწერა, ხელიც მოაწერა, მერე ბეჭედიც ჩაუტყლაშუნა და ასე მტერი დაგეცალოსო - ამის თქმაც მოასწარი!

ცალი თვალი კარისკენ გავაპარე, მაგრამ ხომ გითხარით, აღმაშენებლის შთამომავალი იყო-მეთქი - გასაქცევი გზა ჩახერგილი ჰქონდა. ჩემი სიჯიუტე აშკარად აგებდა მის ეშმაკობასთან. ცოტა ხანში იმდენი მოახერხა, რომ ბრძოლის ვირუსი მეც გადმომდო და ორკაციან მიტინგს უკვე მე ვუძღვებოდი.

- აბა, რა! - ვქუხდი და ვჭექედი, - ვაჩვენოთ მაგ თავგასულებს, რომ ამ ქვეყანაში ყველა და ყველაფერი არ იყიდება! - ღია ომში გამოვიწვია კაცობრიობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი.

მიკროფონი კუთხეში მიყუჟულიყო. - ამან თუ ასე გააგრძელა, დავრჩები უმუშევარი! - სახეზე ეწერა საბრალოს.

თავმჯდომარე თავისი ვაქცინის ასეთ ეფექტურობას არ ელოდა და მგონი, ცოტა ეჭვი შეეპარა - ამ კაცს მართლა დასვენება ხომ არ სჭირდება!

ორი კვირის შემდეგ, მაღლივი კორპუსის მეორე სართულის დერეფანში გაჯგომილი დავიარები! ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ასე ახალგაზრდას ამხელა პატივი დამდეს! ახდა ცხონებული ქაიხოსრო პაპას წინასწარმეტყველება - ეს ბავშვი ან სულ დააქცევს ამ წვეყანას ან მართლა კაცი დადგებაო! ჩემი პატივმოყვარეობის ტიკჭორა თითქმის საესეა. მხოლოდ ისღა მინდა, პაპაჩემმა კედლიდან დამინახოს, როგორ დავდექი მართლა კაცი და ხელის ამაყი მოძრაობით აზნაურის უღვაში ზემოთ აიპრიხოს. ეს ოხერი სათვალთვალ კამერა რაღა ახლა არ მუშობს - იქნებ იქ მაინც გამოეჩინილიყავი.

ჩემს ზონაში სრული წესრიგია. არცთუ ბევრად უმცროსი აბიტურიენტები ჩემი მკაცრობაში ნავარჯიშევი სახის დანახვაზე თავის განძრევას ვერ ბედავენ.

ასეთი ტრიუმფი ნაპოლეონ ბონაპარტს არ ღირსებია აუსტერილიცთანაც კი. ჩემი დიდებული გამომეტყველება არ ჩამოუვარდება თორნიკე ერისთავისას - ბარდა სკლიაროსის დაჩოქებისას რომ ჰქონდა.

ფიქრებმა გამიტაცა. ევროპაში წესრიგის დამყარების შემდეგ ცოტა სამშობლოსთვისაც მოვიცალე - ალა მაჰმადს თბილისის მისადგომებთან დაუხვდი. აქ არ დავღვარე მისი სისხლი - ჩემი მიზანა არ წაიბილნოს-მეთქი. ისპაპანამდე ვსდიე საჭურისს!

სულ კუნტრუშით გარბოდა! მეხვეწებოდა - კარგი, გეყოფა, დავილაღე, კაცი არა ხარო? დედას გეფიცები, მეტს აღარ ვიზამო!

თავმჯდომარის ირიბმა მზერამ გამომაფხიზლა. ვატყობ, კმაყოფილია საქმისადმი ერთგული გენერლით.

უეცრად ეს იდილია მომიჯნავე აუდიტორიიდან მოსულმა საუბარმა და რაღაც მონოტონურმა კაკუნის ხმამ დაარღვია. ღია კარიდან საშინელ კადრს ვხედავ - შინაგამცემი! კომისიის წევრი, რომელიც ძალიან მივამსგავსე მოლაღატე ყორღანაშვილს, დასდგომია თავს პირველ მერხზე მჯდომ აბიტურიენტ გოგოს და კარნახობს. გოგო კი აკაკუნებს.

სისხლი კინაღამ თავს ზემოთ ამივარდა! საცაა, უნდა ვებრდღენა და ხმლის ერთი მოქნეით გავაგდებინო თავი იუდას, რომ მხარზე ვიღაცის ხელი ვიგრძენი - თავმჯდომარე მილიმოდა:

- უსინათლოა, ბილეთს უკითხავს. ის კი თავის ენაზე - ბრაილის შრიფტით იწერს.

ახლაღა გავიგე ამ შრიფტის შესახებ - მუყაოს სპეციალურ ქაღალდზე სადგისით იხველიტება წერტილების კომბინაცია, ნაკითხვა კი ხდება მეორე მხრიდან თითები, ამოხურცულობების შეგრძნებით.

- მერე კომისიაში ვინ არის მაგის წამკითხავი? - ვკითხე გაოცებულმა.

- არავინ. არცაა საჭირო. - წერის მერე დარჩება აბიტურიენტი, გვიკარნახებს თავის ნაწერს, ჩვენ ჩავინერთ ჩვეულებრივი ტექსტით და მაშინვე შევაფასებთ. ორივე ნაშრომი დაილუქება და ასე შეინახება.

იმ მომენტში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ საშინელი მისიის განხორციელება მე მომიწევდა!

დამთავრდა წერა. კომისიის წევრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ სასადილოდ. დავრჩენილვართ სამიოდ გამომცდელი და მომლოდინე უსინათლო გოგო. თავმჯდომარემ დანარჩენი ორიც გაუშვა.

- დაუჯექი ამ აბიტურიენტს, ჩაინერე მისი ამოხსნები და შეაფასე ნაშრომი, - დამავალა მე, თვითონ კი მოშორებით მდგარ მერხზე დასკუპდა.

მეტყველების უნარი დავკარგი! გულში დავწყველე ყველა ნაპოლეონი, ყველა გენერალი და გენერლობაზე მეოცნებე! საკუთარი თავი შემძულდა - ნახევრად რაჭველი ჩლუნგი ქართლელი - ჩერჩეტი, უტვინო, შტერი, რეგენი, ტუტუცი, ამ წუთას ეშმაკმა გურულმა რომ გააბრიყვა. ე. ი. უკვე ბრიყვიც! საკუთარი თავის საღანძღავად ქართული სიტყვები რომ ამომწურა, უცხოურში დავინყე ძებნა. ჩემი შესაფერისი ვერც იქ ვიპოვე - ისევ ერთუჯრედიან კრეტინზე შეჩერდი.

- კრეტინო! რა ჯანდაბა გინდოდა აქ! სოფელში კაკლის ჩრდილი გელოდება. მშობლები გზას გასცქერიან. სახლის მშენებლობა გაცერებულა. მომიდნომა გმირობა, ქვეყნიერების გასწორება! იდიოტი! - გულჯავრიანზე საკუთარი სახელიც შემეშალა.

მოკლედ, ნაპოლეონიდან საცოდავი, ნაცემი სველი კნუტიღა სემრჩა ხელში. ძირს რომ ვუშვებოდი, იმ ადგილსაც ჩაუჭროლე მართლა კაცი რომ დავტოვე. საღალა - გაპარულა! ჯიბრზე, სათვალთვალ კამერაც მაინცა და მაინც ახლა ამუშავებულიყო. გავხედე ქაიხოსრო პაპას - ცრემლი სდიოდა. კედელი დაესველებინა - მიცვალებული ცოცხალს დასტიროდა! მგონი ეს პირველი შემთხვევაა ადამისა და ევას სამოთხიდან გამორეკვის შემდეგ.

კალამი არც კი მაქვს მომზადებული. რა მაქვს ჩასაწერი?

- დაიწყეთ! - მგლოვიარე ხმით, უხალისოდ ვიხდი ვალს.

- პირველ საკითხად მოცემულია მეორე რიგის ერთგვაროვანი ტრიგონომეტრიული განტოლება არანულოვანი თავისუფალი წევრით, რომელიც იხსნება შემდეგნაირად...

მიმოვიხედე. სხვა არავინ იყო - ნამდვილად გოგონა ლაპარაკობდა! წინ ეჯდა ერთუჯრედიანი კრეტინი, რომელიც საკუთარ ნიკაპს ეჯავჯურებოდა, რომ რო-

გორმე ჩამოვარდნილი ყბა თავის ადგილზე დაებრუნებინა, რადგან ამ უკანასკნელს ნებაყოფლობით ამის გაკეთება არ სურდა. მოშორებით მხოლოდ თავმჯდომარე იჯდა - ვითომ საქმეს აკეთებდა!

მაღვეე მოვეგე გონს - ასეთი განტოლება მაინც სტანდარტულია. ალბათ დააზეპირებინეს.

მეორე საკითხის გადმოცემისას უკვე გამოცდილებამიღებული ყბა შუა გზაში დაფიქსირდა და ასე მსუბუქად პირდაღებული ვუსმენდი.

ნაცემი კნუტი ფეხზე წამოდგა, სველი ბენვეტი დაიბერტყა. პაპას სურათსაც ცრემლი შემორობდა და ცნობისმოყვარედ იმზირებოდა.

მესამე საკითხის იმედი აღარ მაქვს, რადგან აქ ისეთი ელემენტია ჩადებული, ვერავინ რომ ვერ გასწავლის - საკუთარი უნდა გკონდეს.

- მესამე საკითხში მთავარია იმის მიხედვით, რომ... - მისხნის უკვე კარგი მასწავლებელიო! ღმერთ დიდებულო! დადებითი შეფასება გვაქვს! ჩაჭრას გადავრჩით, სხვას აღარაფერს ვჩივი! გულმა ისეთი ბრაზი ატეხა, რომ მოშორებით მარტო მსკუპარე თავმჯდომარემ თავაუღებლად ჩაილაპარაკა - მობრძანდიო! ისევ მოვკარი თვალი ბონაპარტს. ელბადან გამოქცეულიყო და ემზადებოდა იმპერატორის ტახტზე მეორეჯერ ასასვლელად. კვლავ შემეყვარა საკუთარი თავი! ოღონდ ცოტა დაეტუქსე:

- არა, ყველამ რომ შენსავით უარი თქვას გამოცდებზე, მაშინ ხომ უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიან! ეგ როგორ იფიქრე, შე გლახა, შენ! არა უშავს. მშენებლობა და მშობლები მოიცდიან - პირველია თუ!

გავხედე თავმჯდომარეს. ჩემი სახის გამომეტყველებით ხვდება, რაც ხდება და თვითონაც გაბადრული სახე აქვს. მაგიდაზე თიტებით მელიოდას უკრავს - ძაღლების მარშს რომ ეძახიან, მგონი ისაა.

მეოთხე და მეხუთე ამოცანები გეომეტრიულია. რა თქმა უნდა, აქ უკვე შანსი აღარ გვაქვს. განსაკუთრებით მეხუთეში - ურთულესი სტერეომეტრიული ამოცანაა კვეთაზე. კომისიის ზოგიერთმა წევრმა - ჩვენიც გავგიჭირაო!

მექანიკურად ვინერ, ყურადღებით ველარ ვუსმენ - მაინც აზრი აღარ აქვს. მის თითებს ვუყურებ. ასეთი ლამაზი თითები ჯერ არ მინახავს - ნეტავ მხატვარი ვიყო! როგორ დასრიალებენ და ეფერებიან მუყაოს პანანუნა ბორცვებს. მომაჯადოებელი სანახაობაა. ფიგურული სრიალის ყურება მიყვარს ძალიან. ის ამასთან ახლოს ვერ მოვა! - და მასასაღამე, საძიებელი ფართობი იქნება... - დაასახელა გოგონამ სწორი პასუხი.

შეხვტი და ისე მალლა ავიჭერი, რომ ტახტზე მეორედ უკვე ასული დიდი ბონაპარტი ჩემი სველი კნუტის ტოლიღა მოჩანს. მეოთხეც სწორია. უკვე კარგი შეფასება გვაქვს. - ვედარ მოვითმინე და ვახარე აბიტურიენტს.

- პატივცემულო, - მეჩვენება, რომ ამ მიმართვაში ცოტა ღიმილიც გაურია. ალბათ გრძნობს, რომ ძალიან ახალგაზრდა ვარ, - შეიძლება მეხუთე საკითხიც მოვეყვე?

შესამონმებლად ენაზე ვიკბინე, ძალიან მეტკინა - ნამდვილად ცხადში ვარ. ვთხოვე ნელა ეკარნახა, რადგან ამოცანა უაღრესად რთული იყო. ვერ მოვიცალე წინასწარ ამოსახსნელად - გამიჭირდებოდა სწრაფად გააზრება. მისი კარნახით ვაგებ ნახაზს, ვაგებ კვებს. მის მიერ მოფიქრებულ დამხმარე ხაზს, მაგრამ სადაც მეუბნება იქ ტრაპეცია არ იკვრება. მივხვდი, რომ ნამეტანი მალლა წავედი ოცნებებში. დავეშვი. არა, სულ მთლად დაბლა არა - სადაღაც შუაში გავჩერდი. ხანმოკლე, მძიმე პაუზა. სამწუხაროდ, სასწაული არ შედგა.

უცებ მესმის: - პატივცემულო, შემეშალა. ეგ ოთხი წერტილი ერთ სიბრტყეში არ ძვეს და ცხადია ტრაპეცია არ შეიკვრება - ერთი ასო

არასწორად გიკარნახეთ - გაასწორა შეცდომა. ამოცანა უნაკლოდაა ამოხსნილი.

სასწაული შედგა. გოგონა შორს იყურება და ჯოკონდას ღიმილი დასთამაშებს - იღუმალი და ოდნავ უფრო სევდიანი.

დაუძლიველმა სურვილმა დამიარა - შუბლზე ვეამბორო, თითები და თვალები დავუკოცნო.

- არ შეიძლება. - შემაჩერა ჩემმა ახალგაზრდობამ. ტირილი მინდა. ესეც არ შეიძლება - კაცი ხარ, თანაც გენერალი. ბურანში ვხედავ ქაიხოსრო პაპას აპრეხილ უღვაშს, ამაყად რომ დაუღია ხელი მართლა კაცის მხარზე. ქვემოთ კი მაკედონელი, ჩინგიზი და ბონაპარტი მუხლმოყრილი რაღაცს მევედრებიან.

- არ მცალია ახლა მაგათთვის. - გავძახე მსახურ ბიჭს, აქამდე მთავარ ვეზირად რომ მუშაობდა. გუშინ ჩამოვაქვეითე პროტექციის მცდელობისთვის.

- თავხედები. ჩემთან მოსვლასაც რომ ბედავენ. - არ მიყვარს მოძალადენი. განსაკუთრებით ჩინგიზას ვერ ვიტან. ბედი მაგათი, რომ ახლა ღმერთით ხასიათზე ვარ.

ღრუბლებიდან ისევ თავმჯდომარის ხმამ ჩამოსვს:

- მშობლები პირველ სართულზე ელოდებიან, - რექტორის განკარგულებით შემოუშვეს კორპუსში. გააცილე გოგონა და ჩააბარე მათ.

ხელზე ძალიან მსუბუქად დამეყრდნო, ფრთხილად ჩავიარეთ კიბეები. ახლაღა შევნიშნე, რომ გაცრეცილი, ფერმკრთალე ვავილებიანი ჩითის კაბა ეცვა. მხართან ძალიან გულმოდგინედ, თითქმის შეუმჩნეველად იყო ამოკეისილი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ჩითის კაბა ასეთი ლამაზი შეიძლებადა ყოფილიყო.

პირველ სართულზე ხორციტა და სულთ მშვენიერი ორი ადამიანი შეგვეგება: ქალი პატარა იყო - ნაზი, კაცი - ძველად ნამდვილ ვაჟკაცს რომ იტყოდნენ, ისეთი.

გოგონა მამასთან მივიდა, ფეხი ფეხზე გადააჯვარედინა და გვერდიდან მიაყრდნო თავი. მამამ მარცხენა ხელი მხარზე მოხვია და ოდნავ მიიხუტა. ნაჯაფი მარჯვენა მე გამოიმინოდა და თავდაჯერებულმა, ღირსებით აღსავსემ, უფრო ვალის მოხდის მიზნით მკითხა:

- აბა, პატივცემულო, ხომ არ შეგვარცხვინა ჩვენმა მელაკუდამ? - ახლაღა შევნიშნე, თვალის ჭრილი მართლაც მელიისას მიუგავდა.

მასსოვს, რაღაცას ვლულულულებდი. მგონი მადლობის თქმას ვცდილობდი.

ცხინვალის მიდამოებიდან იყვნენ წარმოშობით. სოფელი კარგად ვერ გავიგე - მელვრეკისი თუ თამარაშენი. შეიძლება აჩაბეთიც.

- რამდენი ხანია ვერ ხედავს? - როგორც იქნა მოვახერხე რაღაც აზრიანის თქმა.

- ბავშვობიდან, - მიპასუხა ისევ მამამ, გაუღიმა შეილს და უფრო ნაზად მიიხუტა.

ყელში და თვალებში კვლავ მომანვა რაღაც, სასწრაფოდ დავემშვიდობე და სანამ ღრიალს მოვრთავდი, იქვე ლიფტის უჯრედს შევაფარე თავი.

\*\*\*

მოგვიანებით შევიტყვე, რომ თავმჯდომარემ იცოდა მელაკუდას შესახებ.

- მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ მეხუთესაც ამოხსნიდა, - გამომიტყდა.

- ოჰო, ეს ეშმაკი გურული, - სიყვარულწარევი იხტიბარი არ გავიტყვე მე.

\*\*\*

სულ მგონია, ღმერთმა ჩითისკაპიანი ანგელოზი გამომიგზავნა, რათა არასოდეს შემპაროდა ეჭვი ჩემს მიერ არჩეული გზის სისწორეში.

მას შემდეგ მუდამ ასე იყო: როცა მეუბნებოდნენ - ნუხელ შუქი არ მქონდა და ვერ ვისწავლეო - ყოველთვის ვხედავდი ჩემი უსინათლოს სევდიან ღიმილს და ვგრძნობდი მის გამომცდელ მზერას.

დღესაც ასეა...

## მამობრობის გზაზე

19 აპრილს, მწერალთა სასახლეში, საქართველოს მწერალთა კავშირის და მწერალთა კავშირთან არსებული აზერბაიჯანული განყოფილების თაოსნობით გაიმართა შეხვედრა აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტის მთარგმნელობითი ცენტრის დირექტორთან, გამოჩენილ მწერალ აფაგ მასუდთან და მისი დელეგაციის წევრებთან, ცნობილ მწერლებთან იმირ მამედლისთან და ეთიმად ბაქქეჩიძისთან.

უკვე ორი წელია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირი მჭიდროდ და ნაყოფიერად თანამშრომლობს აზერბაიჯანულ მწერლებთან, საქართველოს მწერალთა კავშირთან შეიქმნა აზერბაიჯანული განყოფილება და მის ხელმძღვანელად დაინიშნა პოეტი და მთარგმნელი ალახვერდ თაქალაი; მწერალთა კავშირისა და აზერბაიჯანული განყოფილების ეგიდით გამოდის ლიტერატურული ჟურნალები: ორენოვანი „სხივი – შაფაგი“ და „ქორუქი“ – „საბერველი“, სადაც იბეჭდება ქართველი და აზერბაიჯანული მწერლების ნაწარმოებების თარგმანები და კულტურული სიახლეები; ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა აფაგ მასუდის პროზაული კრებულის „თავისუფლების“ ქართულ ენაზე გამოცემა (მთარგმნელი იმირ მამედლი); აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა მთარგმნელობითმა ცენტრმა კი აზერბაიჯანულ ენაზე უკვე გამოსცა ქართული პროზის ანთოლოგია, რომელშიც შესულია მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ჭაბუა ამირეჯიბის, რევაზ ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჭილაძის, გურამ ფანჯიკიძის, ერლომ ახვლედიანის, რეზო ტყეშელაშვილის, ნუგზარ შატავის, გოდერძი ჩოხელი, ავთანდილ ჩხიკვიშვილის, გურამ დოჩნაშვილის, რევაზ მიშველაძის, ნაირა გელაშვილის, მაკა ჯოხაძის, ლაშა თაბუკაშვილის, გურამ ოდიშარია, მარია ნონკოლაურის, გურამ პეტრიაშვილი, მაყვალა გონაშვილის, მთაია იათაშვილის, აკა მორჩილაძის, ირაკლი ჯავახიძის, ქეთი ორჯონიკიძის, ეკა ლაღანიძის, არჩილ ქიქოძის, დავით ქართველიშვილის, ლადო კილასონიას, ირაკლი შამათაძის და სხვა მწერლების ნაწარმოებები (მთარგმნელი იმირ მამედლი). აზერბაიჯანულმა მთარგმნელობითმა ცენტრმა აგრეთვე გამოსცა ბალათერ არაბულის პოეტური კრებული. სწორედ ამ წიგნების პრეზენტაცია მოეწყო აღნიშნულ შეხვედრაზე. საღამოს უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ბალათერ არაბული. სიტყვით გამოვიდნენ: რევაზ მიშველაძე, გურამ ოდიშარია, მაყვალა გონაშვილი, ალექო გრიგალაშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ბადრი ქუთათელაძე, ერეკლე სალიანი, გიორგი ბეჟიტაშვილი, ბელა ქებურია, დავით შემოქმედელი, თამარ შაიშმელაშვილი, თამარ ფარჩუქიძე.

თავაზობთ აზერბაიჯანში გამოცემულ „ქართული პროზის ანთოლოგიის“ და ბალათერ არაბულის წიგნების წინასიტყვაობებს:

### აკელი ფასკაის ჯანმრთელი ტოტაბი

აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებს ძირძველი, მდიდარი ისტორია გააჩნია. ათასწორწლეოვან ქართულ მწერლობას დიდი ტრადიციები აქვს და დარწმუნებული ვარ, რომ საქმე არა ლიტერატურის სიძველეს, არამედ მის შინაარსშია, რომელიც გამოხატავს სახალხო სულიერებას ჰუმანიზმში და მარადიულ სილამაზეში. თუ ამას დავამატებთ ორი ხალხის მხატვრული აზრის სიმახვილეს და პოეტური გამომსახველების ფორმების სიმდიდრეს, მაშინ უფრო გასაგები გახდება, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ქართული ლიტერატურა აღწერს ხალხის ცხოვრებას, მის სურვილებს და ოცნებებს, გმირობას და სიყვარულს. ასეთი ლიტერატურა, რომელიც ასახავს თავისუფლებას, ძმობას, მეგობრობას, დიდსულოვნებას, იდეის ჰუმანიზმს, რაც ჩვენთვის ძალიან ახლობელია. კავკასიის ბუნება, მისი მთები, ტყეები, მტკვარი, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ხობა, - ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ორ ხალხს შორის ურთიერთობას უწყობს ხელს.

მჭიდრო სულიერი და კულტურული კავშირი ასევე მოიცავს ორი ხალხის შემოქმედებითი პროვინციებისა და გმირების ისტორიულ ბედს. დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯევის თანამედროვე ქართველი პოეტის მთაია რუსთაველის შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის შედევრი გახდა. აზერბაიჯანულ ენაზე რამდენიმეჯერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანში“ აღმოსავლეთის თემასთან და პრობლემატიკასთან ერთად აგრეთვე იმლება აღმოსავლური მხატვრული აზროვნება. აღ-

მოსავლური მოტივები ქმნიან ჩვენთვის უფრო ახლობელ და მშობლიურ ნაწარმოებებს.

მინდა, აგრეთვე აღვნიშნო, რომ სასიყვარულო ეპოსი „ლეილი და მეჯნური“ ნიზამისთან და ფიზულისთან ერთად ქართველმა პოეტებმაც გამოიყენეს თავიანთი შემოქმედებაში. ამგვარად აღმოსავლური სული, რომელიც ახლავს ქართულ ლიტერატურას, აძლევს მის ეროვნულ მხატვრულ აზრს ახალ ელფერს. ამ საკითხში განსაზღვრული როლი ითამაშა ისტორიულმა კავშირმა. სიკეთის ბრძოლა ბოროტებასთან აირეკლა, როგორც აღმოსავლურ, ისე ქართულ ლიტერატურაში.

ისტორიულ და კულტურულ-სულიერი კავშირები აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა ბოლო 200 წლის განმავლობაში.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში აბბასკულუ ალა ბაქიხანოვი, მირზა შაფი ვაზეი, მირზა ფათალი ახუნდოვი და ბეირი სხვა ინტელიგენციის წარმომადგენელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში - რუსული იმპერიის ტყვეობაში მყოფ ადმინისტრაციულ ცენტრში. მათ შესძლეს ქართულ კულტურულ გარემოთან დაახლოება და ამან ხელი შეუწყო საერთო გარემოს შექმნას ორ ხალხს შორის. სწორედ ამ გარემოში აღმოცენდა აზერბაიჯანული დრამატურგია და აზერბაიჯანულ ენაზე გამოვიდა პირველი, ყოველდღიური გაზეთი „შარგი-რუს“. ასევე გამოვიდა პირველი სატირული ჟურნალი „მოლლა ნასრედინი“. თავის პუბლიცისტურ სტატიებში ჯალილ მამედკულუზადე წერდა თბილისის ცხოვრებაზე, ადამიანებზე, მოვლენებზე. ნიკოლოზ ბარათაშვილი მუშაობდა განჯაში და ნაიხჩევანში სახელმწიფო თანამდებობებზე, დანერა ლექსების ციკლი სახელწოდებით „განჯის დღიური“, გარდაიცვალა განჯაში. ილია ჭავჭავაძის და აკაიკი ნერეთლის ნაწარმოებებში ასახულია ორი ხალხის ბედი. მიხეილ ჯავახიშვილმა, რომელიც დაიბადა ბორჩალოში, თავის მოთხრობებში „მართალი აბდულა“, „ორი განაჩენი“, „ლაშალო და ყაშა“ ასახა ბორჩალოს ცხოვრება და შექმნა აზერბაიჯანული სახეები. ასევე აზერბაიჯანელმა მწერლებმა თავიანთ ნაწარმოებებში ასახეს ან შესანიშნავი კუთხის ადამიანები და ბუნება. ნარინად ნარიმანოვი, აბდულა შაფი, ომარ ფაგი ნემანზადე, თაჰირ ჰუსეინოვი, არიფ მუსტაფაზადე, აბბას აბდულა, ისა ისმაილზადე, ზელიმხან იაგუბი და სხვა ბევრი ჩვენი მწერალი თავიანთ ნაწარმოებებში და აშუალო ლიტერატურაში უძღერის სიკაცხელს და საქართველოს სილამაზეს. და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია გამოცხადდა საქართველოში. ასეთმა ისტორიულმა კავშირებმა უფრო დაგვიახლოვა ერთმანეთთან.

მიუხედავად იდეოლოგიური ზენოლისა, ჩვენი ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები გრძელდებოდა საბჭოთა დროსაც. გავიხსენოთ სამედ ვურდულის მეგობრობა გალაქტინის ტაბიძესთან და გიორგი ლეონიძესთან. ლიტერატურათმცოდნეობაში ეს მეგობრობა გამოვლინდა დილარა ალიევას და ლილა ერადის მეგობრობის სახით. აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ ჩაატარა იუნესკოს, ნასიმის, ფიზულის, აშუგ ფაშას, რუჰი ბაღდადის შემოქმედებების საფუძვლიანი გამოკვლევები. მთარგმნელმა ზეზუა მდელაშვილმა მიიტანა ქართულ მკითხველამდე მამედ არაზის, აბბას აბდულა, ისა ისმაილზადეს, ზელიმხან იაგუბის და სხვა ავტორების ნაწარმოებები.

ასევე, როგორც ქართულ კინოს, ქართულ პროზას გააჩნია თავისი თავისებურებანი, რომლებიც მან შემოინახა სოციალისტური რეჟიმის ხანაშიც კი. ეს გახლავთ ორიგინალური შინაარსი, იუმორი, სახალხო აზროვნების ასახვის სტილი. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთავრის მოტაცება“ კომუნისტური იდეოლოგია იქცა დაცინვის ობიექტად.

ნოდარ დუმბაძის რომანი „თეთრი ბაირაღები“, რომელშიც აღწერილია საბჭოთა დროის ნამდვილი მოვლენები, თარგმნილია მრავალ ენაზე. ნაწარმოებში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ავტორი ახერხებს რეალობის გადმოცემას იუმორის სახით, ხოლო თავის ბოლო რომანში „მარადისობის კანონი“ იგი ქმნის ეპოქის სახეს. ამ რომანებს აკავშირებს საერთო თვისება - თანამედროვე სახეების ლიტერატურაში ასახვა. განწირული ადამიანის ლაღატი ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“ ამხელს ეპოქის არსს. საბოლოოდ მკითხველი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ადამიანმა თავად უნდა დაიმსახუროს დამოუკიდებლობა“.

ამგვარად, შეიცვალა არა მარტო საუკუნე, არამედ ქართველი მწერლობაც. საბჭოთა ცხოვრება და აზროვნება დარჩა ისტორიაში. ქართულ პროზაში შენარჩუნდა თავისებურება, ორიგინალური აზროვნება და რეალიზმი, რომელიც ყოველთვის იდეოლოგიის გარეშე იყო.

თავიანთ ნაწარმოებებში ქართველი მწერლები წერდნენ რეალური ქართული ცხოვრების შესახებ. მსოფლიომ გაიცნო ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩნაშვილის, რევაზ მიშველაძის ნაწარმოებები. მათმა ნარდგენამ ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში დაამტკიცა, რომ ქართული პროზა იზრდება ძველი ფესვების ჯანმრთელ ტოტებზე.

ქართული პროზის ანთოლოგია გამოსცა აზერბაიჯანის თარგმანების ცენტრმა, რომელიც ბოლო წლების მანძილზე აცნობს მსოფლიოს აზერბაიჯანულ ლიტერატურას. ჩვენთვის ამ წიგნს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან იგი იძლევა საშუალებას უკეთესად გავეცნოთ ჩვენი მოძმე ხალხის ბოლო ასი წლის პროზა, ქართულ მხატვრულ აზროვნებაში შექმნილი უამრავი სახეები, სიუჟეტური ხაზები და შემთხვევები. ეს ყველაფერი წარმოადგენს ქართველი ხალხის ცხოვრების ბოლო ასი წლის ლიტერატურულ მემკვიდრეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხატვრული აზროვნება არის ხალხის მორალური სახე, მაშინ მოცემული ანთოლოგიის მნიშვნელობა უფრო აშკარა გახდება: ის გახლავთ ორ ხალხს შორის ლიტერატურული ურთიერთობების ახალი ეტაპი.

ანთოლოგიაში დაბეჭდილი პროზის ნიმუშები განსხვავდება სტილით და ხედვით, მაგრამ ყველა ნაწარმოები ასახავს ბოლო ასი წლის რეალურ ქართულ ცხოვრებას და მის სოციალურ ხასიათს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოცემული ნაწარმოებების გაცნობის შემდეგ აზერბაიჯანელი მკითხველი აშკარად დაინახავს იმ სულიერ ფასეულობებს, რომლებიც აახლოებენ ორ ერს და მიიღებს ნამდვილ საამოვნებას.

### ბადირხან ახმედლი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

### ღამის საუბრები

დღეს აზერბაიჯანულ მკითხველს აქვს მცირეოდენი წარმოდგენა ქართულ კინოსა და პროზის შესახებ, მაგრამ თანამედროვე ქართული პოეზია მისთვის „შორეული მწვანე კუნძულია“. მიუხედავად იმისა, რომ ასეული წლების განმავლობაში ვმეზობლობთ და გვაქვს იმპროვიზი თანაცხოვრების საერთო ისტორია, XX საუკუნეში ჩვენი პოეტური ხაზები რატომღაც არ გადაკვეთილან. ვიღაცამ შეიძლება მიზეზად ჩვენი ორი ხალხის განსხვავებული სარწმუნოება და ენა ჩათვალოს, თუმცა ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ასეთი საინტერესო კულტუროლოგიური მოვლენები, როგორც მოლლა ფანაჰ ვაგიფის ლექსების გადანერა ქართული ანბანის ასოებით ან ქართველი აშუღების მიერ სიმღერების შესრულება აზერბაიჯანულ ენაზე.


სასიხარულო ფაქტია, რომ ბოლო დროს მთარგმნელობითმა საქმემ წინ წაიწია. ბაქოსა და თბილისში ჩატარდა აზერბაიჯანული და ქართული პოეზიის და პროზის ანთოლოგიების პრეზენტაციები. ამჟამად აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნება ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები.

ქართულ ეთნო-კულტურულ პრაქტიკაში „ქორო არქტიპის“ არსებობის შესახებ ყველა იცის. გავიხსენოთ, თუ როგორ მღეროდნენ საქართველოში გუნდურად. თუმცა, ყოველი ქართველი პოეტი „მღერის სოლოს“, ვინაიდან ყოველი პოეტის ბედი არის მისი „ინდივიდუალური მითოლოგია“, მისი შინაგანი მყუდროების ხმა. ერთ-ერთი გამორჩეული იმ პოეტთაგანი, რომელიც „არ მღერის გუნდურად“ გახლავთ ბალათერ არაბული.

იმისათვის, რომ გადათარგმნო რომელიმე ნაწარმოები, მხოლოდ ენის ცოდნა საკმარისი არ არის. ალღახვერდი თავალი კარგად ფლობს ქართულ ენას, ამის გარდა, სრულყოფილად გრძნობს ქართველი ადამიანის პოეტურ სულს. ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის მიერ თარგმნილი ლექსები კიდევ უფრო პოეტურად ჟღერს. ალღახვერდი თავალიმ შეძლო ბ.არაბულის პოეზიის თითოეული სტრიქონის ინტონაციის, პირველქმნილ სილამაზისა და ქართველი პოეტის ხასიათის გამოხატვა.

განსაკუთრებული ინტერესი ჩემში გამოიწვია ბალათერ არაბულის თავისუფალმა ლექსებმა (ლირიკული ეტიუდები, ფრაგმენტები, თქმულებები). ქართული ვერლიბრი მეტ-ნაკლებად დალაგდა XX საუკუნის 70-იანი წლების თაობის პოეტურცილის მეოხეობით. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსი უკვე ფორმირებულია. ალღახვერდი თავალის გამომუშავდა აზერბაიჯანული სტილისა და რითმის შეთვისება ცნობილი ქართველი პოეტის აზრებით.

თქმულებების მიხედვით შეიძლება განსაზღვრო ნებისმიერი ქართველი პოეტის პოეტური ლოგიკა. ქართული სიბრძნის შესახებ თქმულებებიც ბ.არაბულს მიაქვს



მკითხველამდე მისთვის დამახასიათებელ ფორმაში, თითქოს მძინარე მოგონებებიდან. სინამდვილეში ეს თქმულებები მისი ბავშვობის მოგონებებია და წარმოადგენს პოეტის მარტოსულობის მეტაფორულ ანარეკლს.

ბალათერ არაბულის ლექსებში გარემო, ბუნება, წელიწადის დროები (განსაკუთრებით ზამთარი) ცოცხლდებიან და მისი სულის განუყოფელ ნაწილად გამოდიან, ბუნებრივი მოვლენები პოეტის მიერ მიიღება, როგორც სულიერი მეგობრები. პეიზაჟი - ავტორის თვითგამოხატულებაა. პეიზაჟი და ლანდშაფტი გამოდის ჩვეულებრივი მეტაფორიკის ჩარჩოებიდან და იძენს მორალურ, მითიურ აზრს. პოეტის გული და გარემო პარალელურად აღიქმება.

პოეტის დასალოგებო ბუნებრივი სტიქიებითან (ქარი, გრივლი და სხ.) აღმოცენდება ბავშვური ალტაცებისაგან. ლექსების სტრუქტურა აგებულია რიტორიკული კითხვების საფუძველზე, ხოლო ამ კითხვების თანმიმდევრობა გვაგონებს მითოლოგიურ სიუჟეტებს: რას მოასწავებს ეს ქარიშხალი? ეს გრივლი? ამ ნიაღვართა ამლევარება? საიდან მოდის ეს გუგუნე, ყოვლის შემძვრელი?

რომელ ტყეთა და უღრანთა კენწერებოზე იბადება ქარის შრიალი? ანდა: სად მიხვალ, ქარო, ამ ნისლიან მთების გადავლით? საითკენ გიხმობს ელვის შოლტით ღამის ავდარი?..

პოეტის მემსიერებასა და სიზმარში არსებული ბუნების თითოეული ობიექტი (მდინარე, მინდორი, მთა) უკვე „ხანში შესულია“. ბ.არაბული გრძნობს მათ დარღს და ტკივილს და ცდილობს დაამოშინოს ისინი. დაბურდა მინდორი და ახლა ნაღვლიან თვალებით სამყაროს უმზერს, მხრებზე დილ-დილობით მას თრთვილი აყრია და (ცივი ქარაშობი გადასდის გულზე... ადამიანები, რომლებსაც უყვართ სიმყუდროვე, განსაკუთრებული ხმების მახსოვრობა აქვთ ხოლმე. ბ.არაბული გადმოსცემს ამ მოვლენებს „ქარის ზუზუნით, ტალღოვანი მინდვრების შარიშურით და მთვარიანი ღამის ყვავილების ჩურჩულით“.

მიუხედავად იმისა, რომ ბ.არაბული გახლავთ „ღამის პოეტი“, ამ სამყაროს იგი ნათელ ფერებში ხედავს. მას შეუძლია დაინახოს აყვავებული ალუჩის ღიმილი, რომელიც ცხოვრობს მის ნაზ, სუფთა გულში. სწორედ ამიტომაც მთვარის შუქი და ალუჩის ყვავილები გამოყენებულია ერთაზროვნებად.არაბულის სამყაროში ალუჩის ყვავილი ბავშვის ღიმილს ჰგავს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ორი სტრიქონი ლექსიდან „თაია“:

მთანმინდაზე ჰყვავიან ალუჩები, ღიმილით მომყვება თაია. ან მივაქციოთ ყურადღება სხვა ლექსს: თოვლი დაბურდა და იცრემლება, ისევ უმატა ირველი თინფვამაც, მალე ყვავილი - შუქი ტყემლების შემოენთება ველს გარიჟრაჟად... ამ პოეზიაში დაბორიანებს მარტოობის ქარი და მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ლექსები - ადამიანის ღამესთან საუბარი და აღსარებაა. ლექსში „პოეტი“ ავტორი აღიარებს, რომ მარტოობა და სიმყუდროვე მისი ერთადერთი სიმდიდრეა. შენ მარტოობის ფრთებზე შობილო, მარტის კვირტივით ნედლო სტრიქონო... ვინ არ დაიჯერებს, ამ შესანიშნავი სტრიქონების შემდეგ, რომ ლექსი ჟღერს როგორც სიმღერა? ვინ არ დაიჯერებს, რომ ბალათერ არაბული, რომელიც ჩვენთვის აღმოჩენაა, საკუთარ ლექსებს ღამეს უკითხავს და ამ დროს გულის თვალებით გაზაფხულის კვირტის სინათლეს ხედავს...

### რუსტამ ქამალი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თარგმნა ელზა გასანოვამ



ნიკა წერეთელი

დარდი, როგორც შემოქმედება

როდესაც მზე მთებს მიეფარება და ტყეში არსებული ყველა მცენარე თანაბარუფლებიანი გახდება, ჩიტები იწყებენ ჭიკჭიკს და ბუნებას სამგლოვიარო საგალობელს უანდერძებენ... მათ, ალბათ, ის პატარა გულები შესტიკვათ, რომელიც სიმალღეთა შორის არსებული მნიშვნელობების ცოდნამ გამოიწვია... ფიქრობენ ამაზე და თან იმ ხის ტოტზე სხედან, რომელიც ამ უღრან ტყეს ზემოდან დაჰყურებს. ესაა ტყის დაუნერული კანონი... ხეები ერთმანეთის შემყურები ცდილობენ გაზრდას და იმ იმედით, რომ მზის სხივებს პირველნი დაენაფებიან, ხანდახან ცის დასალიერსაც კი აღწევენ... სტირიან ფრინველები. გულიც შესტიკვით მინაზე დარჩენილ და დამარცხებულ სხვა ბუნებასა თუ მცენარეებზე, მაგრამ ამ დარდზე ფიქრს და ჩაღრმავებას მხოლოდ ყველაზე მაღლა მიღწეული ხის ტოტზე მჯდომნი ახერხებენ... აქ ხომ ყოველი დღე ერთნაირია?! მიზანიც ალბათ ამ ტყის დაარსების დღიდანაა უცვლელი... ისინი მხოლოდ ფიზიკურ ზრდას ცდილობენ და სხვათა სიმალღეების დაჩრდილვის ხარჯზე პირველნი იპყრობენ ყურადღებას... თუმცა ბოლო ყველაფერს აქვს... მართალია, ცასაც თავის მიზიდულობა გააჩნია, მაგრამ მინასაც აქვს თავისი კანონები... ცისადმი ლტოლვისათვის დრო ეძლევათ... დრო, სანამ მინის ყივილი არ მოინდომებს მათ დაბრუნებას... ადრე თუ გვიან ყველანი მინაზე გართხმულნი ასრულებენ პირველობისთვის ბრძოლას და მომავალ ნაყოფს უთმობენ ამ უსასრულო ბრძოლის ველს... ის ჩიტებიც კი, წელან რომ დარდით კვებოდნენ, მაშინვე ივიწყებენ მიუღწეველ ტოტზე გატარებულ ედემისებურ პერიოდს და ახალი მწვერვალების ძებნაში დაუღალავად იქნევენ ფრთებს... არადა, როგორ მიყვარდა უკაცრიელ ტყეებზე ოცნება, სადაც მხოლოდ ჰარმონია და თანასწორუფლებიანობა მეგონა. როგორ მიყვარდა იმ ჩიტებზე ფიქრიც, რომლებიც თურმე დარდისთვის დარდობენ დაჩაგრულ მცენარეებზე და მათ მარტოობის თავიანთი სიახლოვითაც კი არ უმსუბუქებენ... მათაც გამარჯვებული ხეები ჰყვარებიათ. მხოლოდ კომფორტში მყოფნი ახერხებენ ამაზე ფიქრს და როგორც კი მათი რჩეული მინასთან ჩახუტების მსხვერპლი გახდება, მაშინვე საკუთარ კეთილდღეობაზე იწყებენ ფიქრს და უკეთესი ადგილის ძებნაში ივნიყებენ მანამდე არსებულ უკუღმართობას. ველარ გამიგია ტყეა ჩვენი დღევანდელი და ხეები ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს გარშემო ჩვენზე მალეები და დაადები იზრდებიან თუ პირიქით... უბრალოდ ერთს მივხვდი, როდესაც დროის ცვალებადობა რაიმე საგანზე ცვლილებას ახდენს, ეს ნარმოშობს ამ დაუნდობელ ომსაც. არ აქვს მნიშვნელობა ვინ რას ან რა ვის ჰგავს, რადგან ცოცხალთა პრინციპები ყველას ერთი აქვს. აქ მხოლოდ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ფასობს და როგორც კი ამ საფეხურს ოდნავ მაინც დავცილდებით, ჩვენ მხოლოდ ისტორიად ვიქცევით. არავის აინტერესებს ერთ დროს რომელი მწვერვალის რომელ საფეხურზე სუნთქავდა იშვიათ ჰაერს, ანდა ხვალ რომელი ტელეარხი დაიწყებს ახალი ამბების ჩვენებას შენით. რადგან აქ მხოლოდ დღევანდელია მეფობს. მთავარი ანმყოფა. მთავარი მიღწეულია. იყო დრო, როდესაც ადამიანს რწმენის მეტი არაფერი გააჩნდა. პირველი ნაყოფის მიღებაც ხომ ამ რწმენის ხარჯზე მოხდა. დღეს კი ადამიანებს, ცხ-

ოველებს თუ მცენარეებს შორის ეს რწმენა გაქრა. ცოდნის გემოს გაგებამ ურწმუნონი გაგვხადა და მხოლოდ არსებულის დაფასების უნარი დაგვიტოვა... ამ ომს დრო ჰქვია. შეზღუდულობამ დაუნდობელნი გაგვხადა და იმდენად დაგვიბნელა გონება, რომ მთავარ საზრუნავს სამუდამოდ ჩამოგვაშორა. ისიც კი არ ვიცო, რა და როგორ ვინატრო. სადაა ის სიმშვიდე, რომელიც მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში არსებობს. არ მინდა ამ ომში ჩაბმა. არ მინდა ანმყოფი ტკობა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. მეც ხომ ცოცხალი ვარ?! მეც ხომ დროში შეზღუდული ქმნილება ვარ და მეც ხომ მიზიდავს მინერება?! ყველანი ერთმანეთზე უარესები ვართ. უკეთესები არ არიან. აღარ არიან. ვინც გაუკეთესდება ხოლმე მისთვის დრო იწურება და ზემოდან ყურებაში ცდილობს ჩვენი მიზნების შეცვლას. ღმერთს ვებარებოდეთ „ჯარისკაცებო“... იმქვეყნიური ცხოვრების სიტკბოების და მისი საპირისპირო სიმწარის გვენამდეს, რადგან ეს რწმენაც ისევე რეალურად იქცევა, როგორც სხვა ჩვენ გარშემო არსებული ქმნილებები.

\*\*\*

ის ძველი დრო მინდა, ხო, ის დრო... ომიანობა და სამშობლომანია რომ იყო... აი, მთავარი რომ მკლავი იყო. აი, ის მკლავი, საათობით რომ აქნევდა იმ ხმალს, რომელიც ერთადერთი მინის ნაწარმი იყო, რაც ბოლო წამამდე გვერდში გედავა... დაბადებიდან რომ სიცოცხლე სიკვდილისთვის გჭირდებოდა... დიდხანს სიცოცხლე მეტი ბრძოლის შანსის სიმბოლო რომ იყო მხოლოდ... სახსალამათი რომ არც დედას, არც სამშობლოს და არც იმ დიაცს უნდოდა... ის ლოცვა მინდა სამშობლოსთვის რომ იყო... ის სახლი მინდა, ჩალით რომ იყო დაფარული და შიგნით ანთებული ცეცხლოვანი გულები რომ ქვეყნის ჰავასაც კი ცვლიდნენ... საფლავებიც რომ ერთნაირი იყო. აი, ის ქმრების ერთგული ქალები მინდა, ჯერ ქვეყნის, მერე ქმების ლოცვაში რომ იტყავებდნენ ნაზ მუხლებს. ის ერთგულება მინდა ვილაცისადმი ან რალაცისადმი მაინც... რალაც ისე ვგრძნობ, რაც დრო გადის, თითქოსდა ღირებულებების მარაგი გვენურება და ცხოვრება სულ უფრო და უფრო ფრიგადული ხდება. დღევანდელიობაზე ფიქრიც კი არ მინდა, იმდენი სანაგვეა გარშემო, რომ მიჭირს რაიმე ღირებულის დანახვა. ეს მუშტით მეგრძობლი ერი დაშლილ სილად ვიქცეით და მოზრდილი ფრჩხილებისა და გალესილი ენით ვცდილობთ არა ქვეყნის, არამედ საკუთარი ლელოს გატანას... ჰოდა, ამ საკუთარმა ლელომ გამოიწვია საფლავების ცვლილებაც. სიკვდილის მერეც კი ერთმანეთს ვებრძვით და ათასი ცხოვრებისეული მიღწევის ქვაზე გადატანით ვცდილობთ ერთმანეთის დაჩრდილვას. ამ დროს კი წინაპარნი ტირიან ჩვენზე და სამოთხიდან წამოსული მათი ვედრება გოდებად ჩაგვესმის ჩვენივე ჩაკეტილ სამყაროში... იმ გალაქტიკაში ცხოვრება, სადაც ტერმინი - ქართველი ვაჟკაცი - სიცოცხლის მომგვრელ ტერმინად იქცა და მხოლოდ დაცინვას და ზიზღს იწვევს ხალხში. დამერწმუნეთ, მეგობრებო, ნამდვილად არ ღირს... მე შეიძლება, ვგრძნობ პასუხისმგებლობას, თუმცა ვერ ვპოულობ ძალას ჩემში, იმ ძალას, რომელიც რამეს შემაცვლევინებს და ბრბოსგან გამრიყავს. არადა, რა კარგი იქნებოდა. მერე მომკლავდნენ ჩემივე თანამემამულენი და საყოველთაო გლოვის ფონზე ერთ ორმოს ჩემთვისაც გატხრიდნენ მთანმინდაზე, რომელიმე დიდი ხნის მოკლული გმირის გვერდზე... ნავედი ახლა... ძალის ძიებაში იქნებ მეც დავდო ჩემი ლელო და მეც შევიგრძნო ინდივიდუალური ბედნიერება...



ჯემალ იბერიელი

ააჰ, მარიჩიჯაჰ, შავსა თასი

გექებ, ცხოვრების სიბრძნის საწყისო, რა იდუმალი გრძნობა ხარ, ნაზი, ვინ მოგიყოლა, ტკბილო სასმისო, ვისი გენი გაქვს ასე ლამაზი.

ვინ დაგასხურა ან ის თილისმა, მათრობელა და ნაკურთხი ღვთისა, სახელს ატარებ ქართულ ღვინისა, გზით ევქარისტულ დიდ ბარძიმისა.

რწმენის სიმბოლოდ შექმნილხარ, ვაზო, მარადისობის ფერის სამოსით, მაღალი ზეცა განოდებს საზრდოს, ქედს მიტომ უხრი, ნიჭო სამოთხის.

შენ ხარ ვენახი, შენ ხარ ვენახი, შენ საქართველო საღვთო ედემი, მადლი გიფარავს ღვთისმშობლის სახით, მარადისობის თეთრი კედელით.

სითხე, სინმინდევ, ქართულო ღვინო, ნაზო თილისმა და მათრობელა, ქართლში პირველმა გაკურთხა ნინომ, ასე ინება დედა მშობელმა.

მაშ, მერიქიფევე, შეავსე თასი, ღვთისა და ერის ღირს სადღეგრძელოდ, ჯვარად შეკარით ნასხლავი ვაზის, შენ გადღეგრძელებ, საღვთო ედემო.

გექებ, ცხოვრების სიბრძნის საწყისო, რა იდუმალი გრძნობა ხარ ნაზი, ვინ მოგიყოლა, ტკბილო სასმისო, ვისი გენი გაქვს ასე ლამაზი.

განთიადი

იფურცლებიან თეთრი ვარდები, ფანტელს მიაფრენს სივრცე სანავე, ცრემლად დნებიან ნისლის ფარდები და ხიბლად აწვიმს მგზნებარე თვალებს.

მიაქვს ღიმილი თეთრ მაგნოლიას, ზღვისფერი ზეცა აცილებს მთვარეს, მტკვარზე დაცურავს თეთრი თოლია და ფრთებით სერავს მღვიმე სავანეს.

ასე იღვიძებს ჩემი თბილისი, ნარიყალადან დედა მდუმარე, ღამის ზენარს ხსნის გაშლილს თილისმის, გორგასალის და ივერთა მხარეს.

მეტებთან ახლოს ძველი მეარღნე ფიქრებში ეძებს ბორანს სატივეს, აისის ჩვეულ სიმშვიდეს არღვევს, ძველ მოგონებებს მტკვარზე ატირებს.

და რუსთაველზე აჩრდილი მთვარის, პირიმზისა და ფერით მაისის, მიფრინავს ქალი, ვით ნიავქარი, თითქოს შობილი ფიფქის და ნისლის.

მიაქვს ღიმილი თეთრ მაგნოლიას, ზღვისფერი ზეცა აცილებს მთვარეს, მტკვარზე დაცურავს თეთრი თოლია და ფრთებით სერავს მღვიმე სავანეს.

ლავანდა

კორღზე შევნიშნე უცხო ყვავილი, თითქოს ცით ნაშობ ოცნებას ჰგავდა, მორცხვად მიმზერდა უცნობ ქალივით, სულის თილისმა ვიცან ლავანდა.

ცრემლით შევეხე, ვით მაგნოლიას, ვით საპატარძლო ალისფერ ტიტებს, ხიბლი ამშვენებს ცის სიმფონიას, დალის, მედეას და აფროდიტეს.

მზეო, დაუშვი ბრწყინვალე ფარდა, ზედ ამოქარგე ოქროს სირმები, ქარო, ამღერე ტკბილი ლავანდა, მთაზე აშალე ჯოგი ირმების.

მიეც სიცოცხლე პატარა ყვავილს, სულის ჩუქურთმას მხოლოდ ის ქარგავს, იქნებ სად გაქრა ოცნება ქალის და შენთან ვეტრფი, ტკბილო ლავანდა.

ნეტავ, რამ შექმნა ეს ხიბლის ძალა, ზალა, რომელსაც ამეფებს დრონი, მცირე სინაზემ უმწეომ თვალად, რომ დაამონა პოსეიდონი.

ცრემლით შევეხე, ვით მაგნოლიას, ვით საპატარძლო ალისფერ ტიტებს, ხიბლი ამშვენებს ცის სიმფონიას, დალის, მედეას და აფროდიტეს.

რუსთაველზე იის კონით

ხშირად მიპყრობს ნოსტალგია მთვარიანი ღამის, რუსთაველზე იის კონით პატარა ასული, იადონის ჩასახლება სამოსელში ქალის, ნაუშლელი ისტორია ხანმოკლე ნარსულის.

სტრიქონებში შეიმჩნევა მძიმე ფიქრთა თოვა, ახლა, როცა ცხელი ქარი მიაცილებს ივლისს, ველოდები, გაზაფხული კიდევ როდის მოვა, იის კონას კვლავ ვაჩუქებ დაუვინყარ ღიმილს.

ვგრძნობ, ჩემს სულში იხედები, მთვარეულო მთვარევე, შენ ხიბლი ხარ, მე დროების მიმყოლი მისია, შენთან ერთად მენატრება გაზაფხულის ღამე, სხვა არ ვიცი, არც შენ ამბობ, თვალზე კი ნისლია.

სტრიქონებში შეიმჩნევა მძიმე ფიქრთა თოვა, ახლა, როცა ცხელი ქარი მიაცილებს ივლისს, ველოდები, გაზაფხული კიდევ როდის მოვა, იის კონას კვლავ ვაჩუქებ დაუვინყარ ღიმილს.



ჯემალ მეხრიშვილი

მაცხოვრებელი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

გახარებული... ცხოველები

ირაკლი კაკაბაძის მოთხრობის „იქ, სადაც ძალიან ცხელა“ („ცისკარი“, 1990, 3) მთავარი პერსონაჟი, თანაც ახალგაზრდა მწერალი პირველი პირით მოგვითხრობს.

„სადღაც შორს, ავსტრალიაში, ალბათ, ძალიან ცხელა. იმდენად, რომ ცხოველები მოუსვენრად დარბიან ჩრდილის ქებნაში. ძალიან უხარიათ, როცა გრილ ადგილს იპოვიან“.

-- ო, ღმერთო, ერთი მეც დამანახა ჩრდილის ქებნისას... უკაცრავად, „ჩრდილის ქებნაში“ მოუსვენრად მორბენალი და მერე მისი პოვნით გახარებული ცხოველები! -- ოცნებამორევით ამოიძახა ჯ. მეხრიშვილმა და ახალ საგონებელს მიეცა, - ნეტავი „ცისკრელებსაც“ „ძალიან უხარიათ“ ხოლმე, ამგვარ ტექსტებს რომ ბეჭდავენ?!

თვითმკვლელი ძროხები?!

გაზეთ „არილი“ (1997 წ.) დაიბეჭდა ბექა ჭახელიძის მოთხრობა „ნაძვები“. ავტორი მეცხოველეობაში დიდ „კომპეტენციას“ ავლენს. მოუსმინეთ.

„ძროხა კვდებოდა. ბევრი მოსვლოდა ქალაში იონჯის ჭამა და კვდებოდა“.

ჯერ ერთი, ქალაში იონჯას რა უნდა?! მეორეც, საქონელი ბალახს სალაფავივით კი არ ჭამს, არამედ ძოვს!.. და რაც მთავარია: პირუტყვი არც ისეთი სულელია, როგორც ეს ბ. ჭახელიძესა და „არილელებს“ ჰგონებიათ! ასე რომ იყოს, ზედმეტი ბალახის ძოვ... უკაცრავად, „ჭამით“ თავებს დაიხოცავდნენ და ქვეყნად საქონელიც გადაშენდებოდა!

ცხენსავარძლის ჰიბრიდი?!

შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენ-გამოაჭენა! ხალხური.

„...აკოცა და ცხენსა შეჯდა“.

ცხენი ახსნა... ზედა შეჯდა“.

რა ილოცა, ცხენსა შეჯდა“...

რუსთაველი.

ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (რედ. როსტომ ჩხეიძე) 2009 წლის ივლისში მაღალფარდოვანი სარედაქციო წინასიტყვაობით დაიბეჭდა მხატვარი ოლესია თავაძის 20 მინიატურა. ერთ-ერთ მათგანში „ცხენი-განძი“ ავტორი აი, რას წერს.

„მხედარმა ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ... თუშურ ცხენზე ხომ არ დაჯდებოდა?“

„ცხენზე შეჯდებიან ხოლმე - დაჯდებოდა რა, ცხენი სავარძელი ხომ არ არის?!“ შეცბა ჯ. მეხრიშვილი. მაგრამ, ეტყობა მხატვარ-სელექციონერმა და ზოოტექნიკოს-რედაქტორმა რედაქციის საიდუმლო ჯიშთსაშენში ეკოლოგიურობის მიზნით პირადი მოხმარებისთვის პონზე უფრო დაბალი, ფანტასტიკური ცხენსავარძლის ჰიბრიდი გამოიყვანეს, კაბიან მანდილოსნებს მასზე გადალაჯ-გადმოლაჯება რომ გაადვილებოდათ!

ჯ. მეხრიშვილმა აქ კი ღიმილი ვეღარ შეიმარაგა, როცა მელიქიშვილზე ჩოროთით მიმავალ ამგვარ ცხენსავარძლებზე ამხედრებული რედაქციის თანამშრომელთა რაზმი წარმოიდგინა, წინ ბუნჩუკითა და ალმინიან შუბით დამშვენებული თორმუზარადიანი როსტომ ჩხეიძე რომ მიუძღვოდა!

ცხოველ-ფრინველ-მწერთა გაეროვნულება?!

ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ დამატებაში „ლიტერატურა“ (2009 წ., ივლისი) დაიბეჭდა რუსა ამირეჯიბის პროზაული ტექსტი „ყველაზე საძაგელი“.

პირველი პირით მოთხრობელი თანამეროვე ქართველი ქალი აი, რას ნატრობს.

„ნეტავი ხარი ვიყო, რაა, თანაც ესპანელი!“

-- ამ ქალის ღაღადისი ღმერთს მართლა რომ ესმინა, რამდენი ცხოველ-ფრინველი და მწერი მიიღებდა ეროვნულობას! - გაეცინა ჯ. მეხრიშვილს და ალაღებდზე დაიწყო ჩამოთვლა, - მაშინ გვეყოლებოდა არა ინგლისური საბეკონე ჯიშის ღორი, ესპანური ხარი ანდა მსოფლიოში განთქმული, ყველაზე გრძელხორთუმა ქართული ფუტკარი, არამედ ინგლისელი ღორი, ესპანელი ხარი, ქართველი ფუტკარი, ჰოლანდიელი ძროხა, არაბი ცხენი, აფრიკელი ლომი, ინდოელი კოლო, სუდანელი კალია, ჩინელი დათვი, ირლანდიელი სეტერი და ა.შ.... ო, რუსა, რუსა!

ნატვრა

„ლიტვაზეთმა“ (2010, 13 მაისი) გამოაქვეყნა სოსო ყიფშიძის პატარა მოთხრობა „სევდიანი მელოდია“.

ავტორი ერთგან აი, რას გვეუბნება.

„თხები გულიანად შეექცეოდნენ ბალახს და სიხარულით უბრწყინავდათ თვალები“.

აბა, ვინ არ მოისურვებს ამგვარი სიხარულით თვალებგაბრწყინებული თხების ხილვას!

ნამწყემსარის სინანული

„ლიტვალიტრაში“ (2010, 7) დაიბეჭდა ვიქტორ სალუქვაძის მოთხრობა „განწირული“. ავტორი ერთგან არხეინად ამბობს.

„წავიდა ბიჭი და წაიყვანა ცხვრის ფარაც“.

-- აი, თურმე რა ადვილი ყოფილა მომწყემსვა, მე კი თავს როგორ ვინამებდი ხოლმე! - აღმოხდა ჭაბუკობისას ნამწყემსარ ჯ. მეხრიშვილს, - რა წარუქავს, რის გადალაღავს, გაილაღავს, წაასხამს, გარეკავს, გაირეკავს, გადარეკავს, გააბრუნებს, გაიბრუნებს, შეაბრუნებს, შეიბრუნებს, გადაატარებს, შემოატარებს, შემოიტრიალებს, გადენის, თავს დაუელის, შეაყოლებს, გააყოლებს, გადააყოლებს... მოგცლიათ! ჯერ თვითონ მწყემსი წავა, მერე კი... ფარასაც ბავშვივით წაიყვანს!..

ნეტავი იმ მწყემსმა ფარა როგორ წაიყვანა - პატარა ბავშვივით მკერდზე ჰყავდა ახუტებული თუ ხელზე ხელი ევლო?!.. ეეეჰ!

ფაქიზფეხება ძროხები?!

ნუ შემრისხავთ ამ მიამიტური თუ შეურაცხყოფელი კითხვისთვის, მაგრამ რა წყალს მივეცე - ამ გამანამებელ უხერხულობას ვერ გავცეკვივარ!

ჰოდა, აბა, თუ სწორად მიპასუხებთ: სოფლის ტალახიან ორღობეში ძროხა როგორ მიდის ხოლმე?

რას ჰქვია, „როგორ მიდის ხოლმე?!“ - ცხადია, გაგიკვირდებათ და უმაღლესი მიგებთ: როგორ მიდის და როგორც საქონელს სჩვევია - მიდის და მიტოპავსო!

ეჰ, ეგ მეც ვიცოდი, მაგრამ აი, „ლიტვალიტრის“ რედაქციის გასაიდუმლოებულ ჯიშთსაშენში უნიკალური სელექციის გზით ისეთი შეგნებული და ფაქიზფეხება ძროხის ჰიბრიდი გამოიყვანიათ, რომ მისი სიარულის მანერა მივარდნილი სოფლის საფლობეში შემთხვევით მოხვედრილ თვით თბილისელ დედისერთა აზიზმაზიზ ქალიშვილსაც კი კი შეშურდებოდა!

ბესო ხვედელიძე თავის ორფურცლიან მოთხრობაში „მეცამეტე კოპლი“ („ლიტვალიტრა“, 2010 წ., 1) ავდრიან საღამოთი საძოვრიდან შინისკენ მიმავალ სოფლის ნახირზე გველაპარაკება, თანაც ამგვარი სინტაქსით.

„დინჯად ადგამდნენ ჩლიქებს ტალახში“.

ხედავთ, ძროხები ტალახში ჩვეულებით-სამებრ კი არ მიტოპავდნენ, არამედ თურმე მხოლოდ და მხოლოდ ჩლიქებს ადგამდნენ, მთლიანი ფეხები რომ არ დაგანგლოდათ!!

საჭიროა კომენტარების გაგრძელება?!

ახალი ჯიშები?!

დიდსულოვანი მკითხველებო, რაკი ეს პირველი მიამიტური კითხვა ხახვივით შემრჩა, ენის სინმინდის დაცვისთვის ერთი ამავე ყაიდის კითხვა კიდევ უნდა შემოგბედოთ! აბა, ახლაც თუ სწორად მიპასუხებთ: საძოვარზე წარეკილი ძროხები ბალახს რას უშვრებიან?

დარწმუნებული ვარ, თქვენ ერთმანეთს შიშნარევი გაკვირვებით გახედ-გამოხედავთ: ეს ვილაც ჯემალ მეხრიშვილი მართლა სულელი ხომ არ არის - რანაირ კითხვებს იძლევაო და ჩემგან დროიანად თავდაღწევის მიზნით აქაც ჩამისხაპასხუპებთ - საძოვარზე ძროხა ბალახს რას უშვრება და ძოვს, სხვა რას უნდა უშვრებოდესო!!!

აგაშენათ ღმერთმა! ეს მთელმა ქვეყნიერებამაც ასე იცოდა და მართლა ასეც არის, მაგრამ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის გამოკვების სირთულესთან დაკავშირებით რძის ნაწარმის მკვეთრად გაზრდის მიზნით „ლიტვალიტრის“ სელექციონერებსა და იმავე ბესო ხვედელიძეს რედაქციის საიდუმლო ჯიშთსაშენსა და საცდელ მინდვრებზე ღორძროხისა და უხვმოსავლიანი ბალახსალაფავის ფანტასტიკური ჯიშები შეუქმნიათ!

ჰოდა, ახალგამოყვანილი ჰიბრიდული ღორძროხაც ჩვეულებისამებრ კი არ ძოვს, არამედ ამ ბალახსალაფავს ღორისებურად ჭამს!

„ის მეორე ძროხა წამოვიდა ჩვენს საძოვარზე და გააგრძელა ბალახის ჭამა“.

იმედია, „ლიტვალიტრის“ ეს გენიალური სიახლე მთელ მსოფლიოში მალე გავრცელდება და ბალახის მძოვ არარენტაბელურ ოთხფეხა პირუტყვს თანდათან უფრო უხვპროდუქტიული ჯიშით - ბალახის მჭამელი ღორძროხებით ჩაანაცვლებენ!!!

გიხაროდენ, კაცობრიობაე!!!

საყოველთაო უმეცრება

„... ჩემო ძმაო, მუშაობა ასე უნდა, თქვენ კი კოსტიუმებში და გალსტუკებში მუშაობთ და გოლოვინის პროსპექტზეც დასეირნობთ - არა, ასე არ შეიძლება. უნდა ჩაიცვა ძველი ფართუკი, ანთო ლამფა და მოაგროვო ჭვარტლი...“

ფიროსმანი - გუდიაშვილს

ლადო გუდიაშვილის მოგონება ნიგინიდან

„მოგონებები ფიროსმანზე“

თავგადადებულო მკითხველებო, ღრმად ჩაისუნთქეთ და წარმოუდგენელ სენსაციას მომზადებული დაუფხვით: თქვენ ახლა ძროხის დამაკების ისეთი მაგალითის მოწმე გახდებით, რომლის მსგავსი რამ მესაქონელების ისტორიაში ჯერ არ მომხდარა და, ცხადია, ვერც ვერასოდეს მოხდება!

ბესო ხვედელიძის ამავე ტექსტის მენახირე თავისი ძროხის დამაკებზე მეოცნებე ერთ-ერთ მეზობელს აი, რას მიახარებს.

„იმათებს ერთი დიდი თეთრი ხარი გამოეყო, ძროხას უკნიდან მოუარა... შემოაჯ-

და და... გეფიცებით, იმ თეთრმა ხარმა შენი ძროხა მოტ...“

ეს ბოლო „ზრდილობიანი“ მრავალწერილი ან თვითონ ავტორს ანდა რედაქციის მორცხვ ქალბატონებს ეკუთვნის!

არადა, ხარი მამალი შინაური ცხოველია, უღელში შესაბამელად წინდანინე რომ კოდავენ ხოლმე და ამიტომ, ცხადია, მას ძროხის დამაკება აღარ შეუძლია!

ძროხას (ფურკამჩს...) ამაკებს (და არა ტყ-ს, როგორც ამას ენის უცოდინარი ავტორი გვეუბნება!) ბულა, დაუკოდავი ხარი (კამეჩი), რომელსაც, ჩვეულებრივ, სანაშენედ ტოვებენ და იყენებენ - კურო.

ესე იგი, აქ რა გამომჟღავნდა - რედაქციაში ხარისა და ბულის გამრჩევი არავინ აღმოჩნდა!

გენიალური მწვრთნელები

თამარ გამგებლის მოთხრობაში „ამბავი“ („ლიტვალიტრა“, 2012, 2) ასეთი ამბავია: გადასახადების გადაუხდელობისათვის მათე უნივერსიტეტიდან რომ არ გამოიციონ, დედის გადაწყვეტილების ოჯახის ერთადერთ მარჩენალ ძროხას გასაყიდად გაიმეტებენ.

თოქჩაბმული, ეყენიანი ძროხა მათეს სოფლის შარაზე გამოუყვანია და გრძელსკამზე დასკუპებული, ალაღებდად ელოდება მუშტრის გამოჩენას. ტექსტს თან ნახატიც ახლავს: ვეებერთელა ძროხაც იქვე, სკამის სიახლოვეს წევს! ჰოდა, აქ ავტორი აი, რას ამბობს.

„დილიდანვე აქ ისხდნენ“.

ერთი სიტყვით, ავტორსა და „ლიტვალიტრელ“ მწვრთნელებს ძროხისთვის ჯდომა უსწავლებიათ!

ანგარიშგაუწვევლი ხბო

„ლიტვალიტრის“ სამ ნომერში (2018, 20 იანვარი - 3 თებერვალი) დაიბეჭდა ბექა ქურხულის მოთხრობა „სკანდარა“. ავტორი ერთგან იუნყება.

„ნახირიდან მოსულ საქონელს მათი ხბოიანი ძროხა არ მოჰყვია... ექება, მაგრამ უღრან ტყეში რა ძროხა და ხბო უნდა ეპოვა“.

არადა, მეწველ ძროხას ნახირში ხბოს ვინ გააყოლებს - ხბო მთელი დღის განმავლობაში ფურს სულ ჩამოწოვს! მუხლმოუმაგრებელი ბუჩინა ვერც ნახირთან ერთად სიარულს შეძლებს და უეჭველად დავარდება!.. რომელიმე სხვა ძროხამ კი შეიძლება ურქინოს ანდა იმ ჯგლეთაში გაჭყლიტონ კიდევ!..

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხბოიან ფურს რომელი მენახირე აინაბრებს?!

ერთი სიტყვით, მეწველ ძროხას დილით მენახირეს ატანენ, ხბოს კი ეზო-ყურეში ამყოფებენ, ქორფა ბალახისა და ნეკერის ხონხა-კორტნას რომ მიეჩვიოს. ხოლო თუ ზამთარია, მაშინ ძროხაცა და ხბოც შინაჰყავთ, ოღონდ ცალ-ცალკე. ძროხა - საძროხეში, ხბო - სახბორეში და კვებითაც შესაბამისად კვებავენ.

ძროხისა და ბუჩინას შეხვედრა მხოლოდ დილა-სალამოს წველისას ხდება!

ყორი კი არა, ვაცი!

პოეტი სერგო ბარამიძე თავის ერთ-ერთ ლექსში („ლს“, 2019, 1 თებერვალი) წერს.

კომპასის გეზი საით გიჩვენო, როცა ცხვრის ფარის ყორი ბანძია.

არადა, ყორი სანაშენოდ დატოვებული დაუკოდავი, მამალი ცხვარია, - ვერძი, ერკემალი.

ცხვრის ფარას კი მიუძღვის ვაცი, - მამალი თხა, ბოტი.



უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მე-11 ს!

მკვლევარები მალ - მალე მითოლოგიას ვაყურადებთ, ვინაიდან სიმართლე ხშირად ენიგმების, სიმბოლიკური ალუგორიების, მეტაფორებისა და ლეგენდების მეშვეობით გადმოგვეცემა. რაკილა წამდაუნუმ თქმულებებს ვეყრდნობით, რათა მივხვდეთ საიდუმლოს, რომელიც მის წიაღ არის დაფარული, საფიქრებელია თამარის მინას მიბარებაზე მომთხრობ იმ ლეგენდიდან 8 სამარე კენოტაფი იყვეს, ერთი ინგუმაციური და ის სწორედ სამშვილდეშია საგულგებელი.

დიახ, ქართულ თქმულებას სანდოობა ზუსტად სამშვილდეშ სეცინა! თამარს და მის მეგობრებს მართოდენ სამშვილდეში შეიძლება დაედოთ ბინა და გარეშე თვალისათვის დამალულიყვენ! აშკარაა, სამზადისი ფართო და ორგანიზებული ყოფილა!

მოგეხსენებათ, არ არსებობს ერთი გამოხატულებაც კი ცხოვრებისა, არც ერთი ხერხი მისი დანახვისა და აღქმისა, მწერლისთვის შეუცნობელი. წარსულის ხმები უმეტესწილად ტაძრებში გაისმის. სამშვილდის ერთ - ერთ სამლოცველოში არაერთი რეალობის წინაშე ვდგებით!

იმ ეკლესიაში ჩემი წარმოსახვა ბევრწილად 9 წერტილს მასაჩინოებელმა საფლავების განლაგების კვადრატმა განსაზღვრა. თითოეულ სამარხავს თავისი საკუთარი გეომეტრიული ადგილი უვის. სარწმუნოდ და დამაჯერებლად გვაუწყებენ რიცხვებს და დიდოსტატის ხელიც ატყვიათ. ხამს ვაი - უშველებელი ვირტუოზი იყო, ამ იდუმალების ჩამწვდომი.

ლუსკუმები მათში გამხელილი ინფორმაციის გააზრებაზე მიგვითითებენ. ხომ არ არის იქ მოქცევაზე მანიშნებელი სიდიდეები, როგორც რამ კოდის დამადასტურებელი მეტაინფორმაცია? მასასადამე, სამარენი წინასწარ მოწადინებით ისეთნაირადაა კონსტრუირებული, საჩინო ყოფილიყო რიცხვული სისტემის მონაცემებიც. და მიუხედავად იმისა, კვადრატის ეტალონიდან გადახრის ტენდენციაც აქვთ, უკიდურეს შემთხვევებშიც არ კარგავენ თავიანთ გეომეტრიულ სტრუქტურის პირვანდელ ხატს. ყოველთვის იკითხება რაიმე თარიღი, სხვა ე. წ. „გვერდითი“ საბუთიანობით გამაგრებული, რომელიც სამყაროს აგებულებასა და პითაგორულ სიდიდეებს გამოსახავენ. ვცადე ნათელმეყო ამ ცნობების ცხადი თუ უჩუმარი და არქეოლოგებს 32 გვერდიანი ანგარიშით მივმართე.

თანმიმდევარ თარიღთა ყოველი კომბინაციის ჯამი გარკვეულ რიცხვს გვაუწყებს. ექვემდებარება მათემატიკურ აღრიცხვის კანონს, მარჯვნიდან მარცხნივ და პირიქით. ყველაფერს ერთ ღრმააზროვან მთლიანობად აყალიბებს. ასეთი ძნელია შემთხვევითობას მიეწეროს. ვცადე მაქსიმალური სიზუსტით აღმენერა ყველა ქვა და ნიშანი და ქართულ წარმართულ კალენდრისა და პითაგორას სიდიდეების გვერდით (აღბათ რუსუდან დედოფლის ნებით და სურვილით) ყურანის დამლაც დაფიქსირდა.

რახან სურათი ნათელი გახდა, დასაეჭვებლად ადგილი აღარ დამიტო-

ვა — მალული გამჟღავნდა, ამგვარად გაცხადდა იგი. ასერიგად დაამშვენა ქართული ამბავი აღმოსავლურმა ორნამენტმა. ჩვენი ინსტიქტიც საიდუმლოს ეგზომ შეესატყვისა. აღბათ მრავალი ჯერ კიდევ აღმოუჩენელ - შეუსწავლელია, უამრავ საინტერესო და შესამჩნევ ინფორმაციას გვპირდება. ამრიგად, იმ საფლავების და არამხოლოდ სამარხავების სახით ჩვენ მოგვეპოვება გადამწყვეტი ნიშნადობის დოკუმენტი სინამდვილის სასარგებლოდ.

რა არის ვეფხისტყაოსანი? ზღაპრული ძეგლი თუ ისტორიული? ვეფხისტყაოსნის შესახებ რიგი მოსაზრებები ლამის კანონზომიერებადაა ქცეული. ძველ რბილშია გამჯდარი წარმოდგენა ამ პოემაზე, როგორც დღეს ჩვენ ხალხს გააჩნია. ეს ისეთი თემაა, ზედმინეწითი საბუთებითაც ვერაფერს დაამტკიცებ.

ვით გამოირკვა, ქართული პოემის სახით ჩვენს განკარგულებაშია არა ლეგენდარული წყარო, არამედ სინამდვილე და არამარტო. . . რუსთველმა მოგვითხრო ისეთ შემთხვევებზე - ყურებში რომ გაიზრიალებს. დაფარულს ჩავხვდი. იგი წარმოსახვაზე მძაფრი აღმოჩნდა.

პოემა მაგიისა და მისტიკის სფეროსაც მიჰკუთვნება. ანუ, ამ ნაწარმოებში საძებნია ტრადიცია, რომელიც ჰერმეტიულ ცოდნასაც შეიცავს.

თამარმა იდუმალი სწავლება რუსუდანიგან ნამდვილად სამშვილდეში მიიღო? იქ, სამშვილდეში თამარის მსოფლმხედველობა შეიცვალა, ახალგაზრდა ქალის ფსიქიკის, ბუნების მეტამორფოზა მოხდა. მიზანდასახული სულიერი ცხოვრება - სამშვილდე.

ვეფხისტყაოსნის გმირებიც სამშვილდეში მოქმედებენ. ალაგეს სავსებით ეთანხმება რეალიები, რომლებსაც იძლევა პოემის გეოგრაფია. სამშვილდე იგივე უუძველესი ორბეთია! ამის მიხედვით დასტურდება მეტად ხელშესახები ფაქტები შოთას ცხოვრებისა.

პოეტის მოძრაობის ისარს თვალს თუ გავაყოლებთ, ჩვენ მეტისმეტი სიფრთხილით ვვარაუდობთ, რუსთველი - ორბელიანია! ლოგიკურია ამგვარი ეჭვიც. ეს ცალკე საკითხია და ჩვენ მონოგრაფიაში დამოუკიდებელი თავი ვუძღვევით.

სამშვილდის ცხოვრება ისტორიის ფურცლებზე ჯეროვნად არ ასახულა. ყველაფერი კი ამ რეგიონის განსაკუთრებულებაზე მიუთითებს არაოდენ ორბელიანთათვის. . .

სამშვილდეში თამარის და არამხოლოდ თამარის მიგნების შესაძლებლობა კიაფობს. იქ განისვენებს დემნა ბატონიშვილი, რუსუდან დედოფალი და სიფრთხილით ვამბობ — იქნებ თვით რუსთველიც. . .

ახლა ერთი თითქოს პატარა და პროზაული, მაგრამ მნიშვნელოვანი თემა. გრაალის თასიც ლეგენდის თანახმად აღმოსავლეთიდან მოდის და აღმოსავლეთშივე უნდა დაბრუნდესო. გრაალის სიდიდე „36“ ქართული ანბანის ასოთა რაოდენობასა და იმ უჩუმარ პანთეონში დაკრძალულთა რიცხვს ხომ არ შეესატყვისა?

სიმბოლური და მეტაფორული მნიშვნელოვანებანი ალღოსაღებია. ზმის შექმნის ერთ - ერთი მიზანი არის შეგვატყობინოს ავტორმა თუ რა ინ-

ფორმაციაა შიფრით გადმოცემული. ამოცნობა ძნელია! ეს ურთულესი მეცნიერებაა, იგი ასტრალურ მოვლენებთან, ქორონიკონთან, ქვეცნობიერ - ზეცნობიერთან და ათას მალულთანაა შეკავშირებული. სპეციალური განსწავლა სჭირდება. სკრიპტოგრაფებისა და იეროგლიფების გახსნას არასოდეს ასწავლიდნენ ჩვენში.

მოდით დავარღვიოთ სამეცნიერო ტრადიცია და თავს უფლება მივცეთ მეცნიერების მიერ აღწერილ შემთხვევებს მეოცნების მზერა მივაპყროთ. მემატინეები ძუნად, ქრონიკის სიმშრალით გვიყვებიან განსაკუთრებით ყოფით ურთიერთობის ამსახველ მოვლენებზე, მათი მოვალეობა არ გახლავთ ბელეტრისტის თვალთ გააცოცხლონ ყოველი. რაც დანვრილებით არ არის მოთხრობილი, ძალგვიძს ვიგულისხმობთ და გონების თვალთ წარმოვიდგინოთ?! იქნებ უფრო თამამად მივინდოთ ჩვენივე ანგარიშებს. მთავარია სიყვარულით მოვეკიდოთ საქმეს და ისტორიული წყაროების მიერ ხელმოჭერილად მონოდებულ ცნობებში მეტი გაბედულებით ჩავიხედოთ. ჩვეულებრივში მუდამ იმალება უჩვეულო, გარნა მისაგნებია. მანდ მათემატიკაა საჭირო, ალღო და ნიჭი. ეს ერთობ რთულია და შესაძლო ახსნის შემოთავაზებით ვკმაყოფიდები. ვცადე ნათელმეყო ცხადი თუ დაფარული. მოსაზრება აღბათ მხედველობაში მისაღებია და საინტერესოა. ვინცობაა ნახევარი გზა განვლე, ნუ გამინყრებით, აკი ბერძნული ანდაზა ამბობს: ნახევარი მთელზე უმჯობესიაო.

არქეოლოგები მზად არ აღმოჩნდნენ ქვეტექსტის ამოკითხვისათვის. დარჩეს თქმულებადო დამორჩა - მეტი არაფერი. უცნაურიაო! საცნაური რატომ იქნება? მოთმინების ძაფი გამიწყდა. შეხედულებათა ერთგულ საზოგადოებას მოეძებნება საფუძველი დაეჭვიანებისა. ვეფხისტყაოსნის არაერთი საზომი მათ არ გააჩნიათ, გარდა სტროფული რეფრენისა. გულზე ხელი რად დავიკრიფოდ?! საბოლოოდ მათ მზაობა გამოთქვეს იმ იდუმალ პანთეონის გახსნისათვის - საჭიროა საპატრიარქოს ნებართვა.

ამბავის მოსახდენად და გარემოებისათვის საბიძგებლად ისეთი გმირებიც უნდა არსებობდნენ, რომლებიც სხვათა ჭოჭმანს არ შეეგუებიან და საზღვრის გარღვევას შეეცდებიან.

ყოველივეს უზომო შემართების და ძალისხმევის ადამიანი განახორციელებს და ამ ავან — ჩავანსაც კეთილად დაასრულებს. უჩუმარ აკლდამის გახსნა, ჩემი გუმანით საყურადღებო ისტორიულ აღმოჩენას გვპირდება. ან გავიმარჯვებთ, ანდა დავმარცხდებით. ვინცობაა გავიმარჯვებთ, მოპოვებული შედეგების განხმა - პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბითაც იღირსშესანიშნავებს.

ნეტავ ცოცხალი იყოს ახლა სიმონ ყაუხჩიშვილი - არაფერი გამიჭირდებოდა.

გაბედულად დავადებ ხელს ალაგეს, სადაც ჩემი რწმენით განისვენებენ ისინი. გადადგმულია ნაბიჯი, მაინც საჭიროა შემდგომი ბიჯის გადანაცვლება! მე მჯერა თქვენი ხილული თუ უხილავი წვდომისა! . .

ნოდარ შანიძე



არტურ სულამანიძე

რამი რუმი

(უმისამართოდ)

უკუნითს, მუზის გახსნისას, გულს უნდის ფუნჯით, არ სხვისა, გადაგიშალო მთა-ბარი... არ დაიშალო მთავარი, რაც ყველა დედამ იცისა, არსება დედამინისა... შენი ფესვები? მასშია. ზეცით ეშვები? რად? გშია! იცოდე, არ ხარ ვარსკვლავი... გიხმობდე? მზად არს მხარმკლავი შემოგეხვიოს თილისმად, შემოკრთეს სიოც დილისა... დავითვრეთ ცქერით აისის, და ვით დღეს? ვერ იქმს მაისიც... შენ გეტრფის ჩემი ჩუმი ხმა, ლექსების ჩამიჩუმიოთა!

მარცხი პირველი

რადგანაც თავი და თავი ყველაფრის არის პირველი, არ დავინყება პირველის რად არის გასაკვირველი.

თუკი დაცემის გარეშე ჩვილის სვლის არ ვართ მხილველი, მარცხი პირველი, ყოველთვის, რად არის გასაკვირველი?!

მზია გელაშვილი

დაუპრეზავი ვაზი

ბატონ თემურ ქვეციშვილს

დაუპრეზავი ვაზი ხარ, აკვნესებული ქნარი ხარ, ალალ-მართალი გული ხარ, გიცქერი, სულს უხარხარ. სიმღერა შენი სუნთქვაა, ფიქრი ქარს გამოქროლილი, ვაზდაბურული ქვეციდან მზის სხივებს გამოყოლილი. ვაზის ცრემლების სამშობლოს, რომ არ ეფერო, ძნელია, ამნაირ გრძნობით „ურმული“ ჯერ არვის არ უმღერია. დღეგრძელი იყავ მარადის, შემწედაც გექმნეს უფალი, ხარ ქვეციანის მოჭირნახულე - სამშობლოს ჭირისუფალი...

შავლეგ შავიძე

\*\*\*

ოცნებად მექცა მთაში მქონდეს პატარა ქობი, რომ სიმარტოვით სულს სიმშვიდე მივგვარო ცოტა, ოცნებად მექცა ბუხრის ძირში გაშლილი ნოხი და მომავალი ჩემი ბედის სიმშვიდით მოცდა. ქობი რომ მქონდეს, ნამოვშლიდი ნოხზე სტრიქონებს, კალმით რვეულში ჩავსახავდი ლექსებს შვილებად და თუ სიკვდილი დროზე ადრე ჩამომიქროლებს, შვილობილ ლექსებს დაგიტოვებთ დასამშვიდებლად. ღამით მე წმინდა სანთლის შუქზე დავწერ იქ ლექსებს, გარეთ მგლის ხროვა მეყოლება ერთგულ მცველებად და მერე იქნებ ბუხრის კვამლსაც ვაბრალო ესეც, თვალთაგან სევდა-დარდი რომ მდის მხურვალ ცრემლებად. ქობი რომ მქონდეს, გავათბობდი მერე ბუხართან დიდი დეკემბრის ცივ და უგრძნობ გაყინულ კალთას, მზიან ამინდში ნოხს გავშლიდი ბებერ მუხასთან და ვადიდებდი უფლის სახელს, წმინდას და მართალს. გადმოვხედავდი ივერიას მთის მწვერვალიდან, გადავსახავდი ჯვარს მრავალგზის ტანჯულ ქვეყანას, გაგაცოცხლებდი ჩემს იდეალს ოცნებებიდან, გულს ვიჯერებდი სიყვარულით მერე შენთანაც. ქობი რომ მქონდეს და შენც, ჩემთან ბუხრის წინ ნოხზე,

მეყოლებოდი და ლექსებით გეტყოდი ტრფობას, მივამატებდით შვილებს რვეულს გადაშლილს ნოხზე, გავაგრძელებდით სიყვარულით სამყაროს თრობას. ასე რომ იყოს, თვით სამოთხე იქნება ჩვენთან, და სიბერეშიც ჩავიხუტებ დამჭკნარ ხელებით, ამ ცივ სამყაროს მერე მართლა გავათბობთ ერთად, მე, შენ, ბუხარი, სამოთხე და სამოთხელები.

ელისაბედ ჯავახიშვილი

დაღლილი ხელავი

დავყურებ საკუთარ ხელისგულს, ნაშრომს, ნაჯაფებს, ბრძოლაგა მოვლილებს, ხელები, მწუხარების და სიხარულის მნახველნი, მრავლისმომსწრენი.... დედის მუცელში ჩასახულნი, ფაფუკნი, უსუსურნი, დედის რძით გაზრდილნი.... აქამდე მოყვანილნი წვალბებით, შრომის წყურვილით ავისილნი. ჩვილობა, ყრმობა, ეცნობი ცხოვრებას, ხელებით იცავ, ხელებით აშენებ, გადის დრო: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი... და მეც გავივლი ჩვილობას, ყრმობას, ახალგაზრდობას, ხანდაზმულობას.... დროს დაღს დაასვამს ჟამი გრძნეული, ყველაფერს გამოსცდიან ხელები, სიხარულების მომმუშაკებელნი, ნუგეშისმომცემნი, მგლოვიარენი, დედის კუბოზე ცრემლისა და მიწის დამყრელნი... ხელები, გაჭირვებაში ბოლო საყრდენი... ხელებით მოეფერო, ხელებით მკერდში ჩაიკრა, ხელი ჩამოართვა, სიყვარული გაუყო, გამარჯობას გამარჯობით უპასუხო, სხვისი გულიდან ლოდი აიღო... შენდობის ლოცვა წაუკითხო, სახარებაზე დააფიცო, რომ იქნება უფლის ერთგული, ე.ი. ხელებით უფალს ემსახურო, ხელებით მაღლი მოაგროვო, სიკეთე აკეთო, ვენახი გააშენო, ყანა დათესო, ცომი მოზილო, თონე გაახურო და შემდგომ ამ პურით მშიერნი დააპურო, შიშველნი შემოსო, სანთელი დაანთო, მოყვასისათვის ილოცო, იმსახურო... შიშველი ხელებით ეფერო მიწას, აკვანი დაარნო, შვილები შეაჩვიო შრომას....

დავყურებ ჩემს ხელებს, ძალიან დაღლილებს, რა იქნებოდა სიცოცხლე ხელების გარეშე?! და ისევ ძალას მაძლევს, მაკუთხეველი ხელები, შენდობის მომცემნი, ცოდვების მიმტვევებლნი, ჯვრის გამომსახველნი, ბოროტის გამდევნნი... და მოვა ჟამი, არ იცი როდის... ამაზე სულ ფიქრობ და ემზადები, ისევ ხელები დააჭედებენ კუბოზე ლურსმანს, ხელები ჩავიშვებენ სამარეში, მიწას გაყრიან, შენ კი, დუმილით გულზე ხელებდანყობილი, თითქოსდა ვალმოხდილი, უფლის წინაშე, თანხმობის ნიშნად, დავყურებ საკუთარ ხელისგულს, ნაშრომს, ნაჯაფებს, დაღლილებს, ბრძოლაგამოვლილებს!..

ია ეკელი

ზავი

უკვირთ, პოეტი რად არ წერს ლექსებს, ან თუ წერს, მაინც აკლია რალაც... პოეზიაა ეგება მისი... ან, ჰოე და მუსიკის დაკვრაც. პოეტი არის სიკვდილმისჯილი, ან უფრო სწორედ, ზავი აქვს დროსთან... იცის, ინვება ძველი ფითილი მაინც არასდროს, პოეტი მოთქვამს! პოეტი არის გენია მიწად, პრომეთესავით, ხელში აქვს ცეცხლი... ვინ გაუბედავს, ვინ მოიფიქრებს, პოეტს მიუგდოს, ათასი ვერცხლი! უკვირთ, პოეტი რად ამბობს სათქმელს, ან უფრო სწორედ, რა სურდა ეთქვა... ასე თუ ისე, პოეტი არის, დაბადებული, მიწაზე ღმერთად! უკვირთ...

მადონა კალანდია

ქალს სიყვარულს ნუ მოაკლავთ...

ქალს არა აქვთ ასაკი ისე, ვით სიყვარულს, მენდეთ. ეს ასე იყო აქამდე და ასე იქნება მერეც. მამაკაცებო, გახსოვდეთ, ქალი ღერძია ცხოვრების, თქვენგან ნარ-ეკლებს კი არა, ია და ვარდებს მოვლის. თუ აგრძნობინებთ სიყვარულს, დაემსგავსება თაიგულს, დრო-ჟამი ვერას დააკლებს, ვერ დააბერებს ქალის გულს. მამაკაცებო, გახსოვდეთ, ესეც ცხოვრების წესია, ქალს ღალატით არ კლავენ, ქალს ტყვიას არ ესვრიან. ქალს სიყვარულს ნუ მოაკლავთ, აჩუქეთ ტრფობის ალები. თუ გეყვარებით, არასდროს არ დავბერდებით ქალები.

ლია მუმლაძე

ამიბრანტის თვალეში ამოკითხული ს ე ვ დ ა

მე შენს თვალეში უკიდევანო სევდის ზღვას ვხედავ, კარგო, სხვის სამშობლოში, შენს სამშობლოზე დარდობ... მაგრამ ნახვედი, აზრი აღარ აქვს ალბათ... მაშ, რატომ გიდგას თვალეში სევდა-დარდი?! შენ გენატრება შენი მშობელი მხარე და ყოველ ღამე შენ გესიზმრება - ვარდი, რომელიც ეზოს კუთხეში დარგე მაისის თვეში გაიშლება და გიხმობს... და შენ ნამოხვალ, ველარ გაუძლებ ამდენს მშობელი ქვეციანის მონატრებას და სითბოს. უნდა დაბრუნდე, უნდა დაბრუნდე, რადგან შენს სამშობლოში ვინმე „თათალო“ მძლავრობს! უნდა დაბრუნდე, რაც შეიძლება ჩქარა! მთლად უბრძოლველად ხელში ჩაიგდეს ერი, გავერთიანდეთ და გავაძვიროთ მტერი! გ ა ვ ა ძ ლ ი ე რ ო თ! გ ა ვ ა მ თ ლ ი ა ნ ო თ ე რ ი!

ანდრია მექერიშვილი

ისევ

კვლავ ივარგისებს გული სანერად, ისევ დასკდება მინდვრად კვირტები, ისევ იქცევა ზეცა შადრევნად და წამლეკავენ ლექსის ზვირთები. ვერ დამამშვიდებს ღამის ღვეთება, უკან დარჩება ქვეციანის ნუგეში, თეთრ ფურცელს სიტყვა შეუერთდება და ჩავინთქმები მელნის გუბეში... რა ინვეს გულის მსხვერპლად განირვას?! სურვილი ცასთან მარადი წვდომის, სურვილი, პოეტს ღმერთკაცი ერქვას, სურვილი, მადლის ტვირთის ტარების... ამიტომ ფეთქავს სიცოცხლე მკერდში, ამიტომ ხდება მიწა სხვაფერი, ამიტომ ვტოვებთ ქვეყნად სიცოცხლეს და რჩება სიტყვა სისხლით ნაწერი... მერედა რას წერო?! დასვამენ კითხვას, თითქოს არ ენთოს ცეცხლი სიონის, თითქოს არ ჩანდეს, როგორ დაცურავს აისის ნისლში კავკასიონი... განა არსებობს ქვეყნად მიზეზი, კავკასიონზე რომ არ დაწერო, რომ არ ვადიდო სხივი სიონის, ან სიყვარულზე რომ არ დაწერო?! სისულელეა, რომ სული გედგას და ვერ ხედავდ მშვენიერებას, რომ არ გიძგერდეს სიკეთით გული, თან კი უსირცხვილ კაცის ძე გერქვას!...



ალექსი ბოლქვაძე — 95

95 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ალექსი ბოლქვაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ალექსი!  
ჩვენო ძვირფასო მეგობარო!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მსცოვან, ამაგდარ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 95 წლისთავს.

ფართო საზოგადოებრიობა თქვენ, უპირველესად, გიცნობთ, როგორც საბავშვო პოეტს. 1984 წელს გამოცა თქვენი პირველი საუბრის წიგნი ლექსების კრებული და მას შემდეგ ნაყოფიერად იღვწით სამწერლო სარბიელზე.

თქვენი პოეტური კრებულები „თითების კამათი“, „ჩემი ძალი“, „გამოცანები“, „მე სკოლაში მივდივარ“, „გავიზარდე, დიდი ვარ“, „კუდრაჭებს და კოკოროჭინებს“, „მოგზაურობა ზოოპარკში“, „ბოსტნეულთა კრება“, „პატარების გასახარად“, „ანბანთქება“, „ანდაზები“, „ლექსები წელიწადის ოთხივე დროზე“ ქართველი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი და მათი თვალსაწიერის გაფართოებას ემსახურება და კიდევ იმას, რომ ჩვენი პატარები სამშობლოს ერთგულ შვილებად გაიზარდონ, ისწავლონ კეთილშობილების, სათნოების, სიყვარულის, ერთგულების, მოყვასისადმი თავდადების ფასი. ის, რასაც თქვენ ქმნით, მხოლოდ პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობით აღავსებს ყველას, ვინც საქართველოს მომავალზე ფიქრობს და მისი სვებედითაა დაინტერესული.


ჩვენთვის, თქვენი მეგობრებისათვის, სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა ის ფაქტი, რომ თქვენს საკმაოდ სოლიდურ ასაკში ცალკე წიგნად გამოეცით მხოლოდ სიყვარულისადმი მიძღვნილი ლექსები, რითაც ყველას დაგიმტკიცეთ, რომ სიყვარულს, თუკი ის ნაღია და ძელი ღვიწხოსათვის თავანკარა, წელთა სიმრავლე ვერარას აკლებს.

ამავე დროს თქვენს კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი წერილები, ჩანახატები, მოთხრობები ჩვენს უახლოეს წარსულზე, იმ სულიერ კრიზისზე, რომელშიც კისრამდე ჩაეფლო საბჭოთა იმპერია. რაც მთავარია, თქვენი თვალსაწიერი საკმაოდ ფართოა. წერთ ყველაზე და ყველაფერზე, რაც კი თავს გადაგხდენიათ და ერთი ადამიანის მაგალითზე ხატავთ იმდროინდელი სახელმწიფოს მანკიერებებს, სახელმწიფოსი, რომელიც მისი არსებობის ბოლო წლებში თიხის ფეხებიან კოლოსს დაემსგავსა.

თქვენი შემოქმედება დიდი შიო მღვიმელის სახელობის პრემიით აღინიშნა. ბატონო ალექსი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს თანამოკალმეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საესავი სამშობლოს გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



გივი კიკილაშვილი — 85

85 წლისა შესრულდა თვალსაწიერი ქართველი მთარგმნელი გივი ირაკლის ძე კიკილაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო გივი!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 წლისთავს.

თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო, ძიებებითა და მიგნებებით სავსე მწერლური ცხოვრება, რომელიც მთლიანად მშობელი ხალხის მარადიული ერთგულებითაა დაღვასმული. შორეულ — 1963 წელს გამოქვეყნდა თქვენი პირველი თარგმანი — სახელგანთქმული იტალიელი მწერლის ჯანი როდარის „ჯულოსომინო ცრუთა ქვეყანაში“, რომელმაც მამინვე დაიპყრო ქართველი ბავშვების გული. მას შემდეგ არაერთი ჩინებული თარგმანი გაახარებ ჩვენი ნორჩები. ი. ტომინის „ჯადოქარი დადის ქალაქში“, რ. კიპლინგის „რიკი-ტიკი-ტაკი“, ა. სიტინის „ტიანშანელი კონტრბანდისტები“, რუსული, რუმინული, იაპონური, ბელორუსული ზღაპრები — აი, იმ ნაწარმოებების არასრული სია, რომელთა თარგმანებს თქვენი მადლიანი ხელი ატყვია და რომლებიც პატარების სამაგიდო წიგნებად იქცა.

როგორ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ის ღვაწლი და რუდუნება, რომელიც თქვენ დასდეთ რუსული მწერლობის ისეთი კორიფების ქართულად ამეტყველებას, როგორიც არიან თეოდორ დოსტოევსკი, ანდრეი პლავტონოვი და მიხაილ ბულგაკოვი. მართლაც რა კოლოსალური ძალისხმეა შეაღიეთ ისეთი ურთულესი ნაწარმოებების თარგმანს, როგორცაა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, „იატაკევეშის ჩანახატები“, „მოთამაშე“, „უპოვარნი“, პლავტონოვის „ჩვენგანური“, „ჯანი“, „ქებაული“, მოთხრობების კრებულები „ჯადოსნური ბეჭედი“, „ამ მშვენიერსა და უღმობელ წუთისაოფელი“, „ივლისის თავსხმა“, „გზის მემკვიდრე“, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, „თეთრი გვარდია“, „თეატრალური რომანი“, „ძალიან გული“, „მოლოდინის ცხოვრება“, პიესები და მოთხრობები... ამათ გარდა ქართველი მკითხველი სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო ნიკოლაი ბერდიევის „თვითმკვლელობის შესახებ“, ჯონ სტაინბეკის „ქრიზანთემებს“, ბორის პასტერნაკის „წერილები ქართველ მეგობრებს“. სწორედ ამ თარგმანებში გამოჩნდა მთელი სისავსით თქვენი მწერლური ძალმოსილება, სტილის ალღო, ადეკვატური ინტონაციების მოძებნის უნარი. რა მშვენიერად შესძელით უცხო-ენობრივი მიმოხვრანის ქართულ ხატოვან სისტემაში გადმოტანა...

სხვადასხვა დროს მუშაობდით გამოცემლობა „ნაკადულის“ რედაქტორად, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დუბლიაჟის რედაქტორად, ქართული ენციკლოპედიის რედაქტორად და თქვენი წვლილიც შეეჭონდათ ქართული მწერლობისა და კულტურის განვითარებაში.

გვახარებს, რომ თქვენი მოღვაწეობა დიდებული ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა.

ძვირფასო გივი!  
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მსცოვან, ამაგდარ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მშობელი ქვეყნისა გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მამუკა დემეტრაშვილი — 50

50 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი მამუკა ლევანის ძე დემეტრაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო მამუკა!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, ქართული ლექსის ერთ-ერთ ღირსეულ მსახურს და გილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1963 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა სალიტერატურო აღმანახ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „რითა მათა თაიგულები“. მას შემდეგ თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს ლიტერატურულ პერიოდში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენმა პოეტურმა კრებულმა „უმისამართო ღიმილი“ სრულად დაიტია ავტორის ტვივილები და ვნებანი, ოცნებანი უკეთეს საქართველოზე. ამ ლექსებში გამოჩნდა თქვენი პოეტური ძალმოსილება და მშობელი ქვეყნის უანგარო, მუხლჩაუხრელი მსახურების დაუოკებელი სურვილიც. ამ ლექსების ლირიკული გმირი ხომ გათელილი სულის დანყვეტილი სიმების გამრთელებას ლამობს და არ სურს იმის დაჯერება, რომ დიდი ხნის წინათაა გასული უკანასკნელი მატარებელი; გახურებული ჯირითის დროს ცხენების რემას ჩამორჩენილ იმ ობოლ კვიცს დამსგავსებია, მდინარეში ფონის გაგნება რომ უჭირს უსახლკარო და უმისამართო ქარების ანაბარად დარჩენილს. ვერაფრით ვერ გაურკვევია, ასე რამ დააჩიავა დიდი დავითის შთამომავლობა, ეშმაკისეულთა თარეშს რომ ვერ ეწინააღმდეგება ღვთისშობლის ნილხვდომილ მიწაზე...

მთელი თქვენი საქმიანობა სრულად დაუკავშირეთ ჩვენს ალმა მატერს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აქ დაფრთიანდით და აქ ატარებთ მთელ ცხოვრებას. სხვადასხვა დროს მუშაობდით თსუ ზოგადი ფიზიკის კათედრის ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, ლაბორატორიის გამგედ, ლექტორად და ჭეშმარიტი მწერლისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობის გრძნობით იცავდით და იცავთ დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული წმინდა სავანის ღირსებასა და სინმინდევს.

ძვირფასო მამუკა!  
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ერთგულსა და ნაცად მეგობარს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნელი ბატიაშვილი — 75

დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალ ქალბატონს ნელი მიხეილის ასულ ბატიაშვილს. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო ნელი!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1967 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობა „ლევატო, ლევატო“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — მოთხრობები, ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, კინოსცენარები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა ცხოველი ინტერესით მიიღო თქვენი რომანი „დინება“, მოთხრობების კრებულები „ხვალ აღარ იქნება თოვლი“, „გამჭოლი ქარი“, „შენსკენ მომავალი“. ამ ინტერესს კი ის განაპირობებს, რომ ამ ნაწარმოებებში დიდი ადამიანური ვნებანი ბოპოქრობს, XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის მიჯნაზე მდგარი ადამიანის ვნებანი, რომელიც შიშნული ეჭვით შეჰყურებს ცარგვალს, რომელიც მზადაა თავზე დაეხმოს ამ ცოდვითდაცემულ დედამინას და იავარქმის ყველაფერი, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია. ერთი რამ ასულდგმულებს მხოლოდ: იმის იმედი, რომ ბოლოს მაინც სიკეთე, სიყვარული და სათნოება იძალებს და იხსნის ჩვენს გვერულ სულს.

თქვენს პროზას პარამიონულად ერწყმის თქვენი პოეზია. ლექსების კრებული „სიკვდილზე წამსვლელმა იცის“ სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის შექმნილი ადამიანის სულიერი ღაღადია, რომელიც ჟამთასვლას უმონყალოდ გაუთელავს, მაგრამ ვერ ჩაუქრია მასში ხვალინდელი დღის რწმენა და იმედი...

ძალზე საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები მიუძღვენით დოლო ჭუმბურიძის, ოტია პაჭკორიას, ვაჟა გიგაშვილის და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებას.

წლების განმავლობაში მუშაობდით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სცენარისტად, მუსიკალური სკოლის პედაგოგად და ყველგან სილამაზესა და სიყვარულს ასხივებდით, ყველგან სიკეთისა და სათნოების იდეებს ემსახურებოდით.

ჩვენო ნელი!  
გვახარებს, რომ თქვენი მრავალწლიანი მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართული მწერლობის კლასიკოსის ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიით აღინიშნა.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს დიდებულ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი



თამარ ბურნაძე

მინიატურაჰი

კაცობით რჩეული

სამურზაყანოდან ყოფილხარ, გვარად ემხვარი. უფლის მცნებებით ცხოვრობ და სამყაროს შემოქმედის სიყვარულში ათენ-ალამებ. გიყვარს სამშობლო და ქართველი ერი. ამასთანავე აფასებ სხვა ეროვნებასაც, ვინც იმსახურებს პატივისცემას.

როცა გაგიცანი თურქეთის მოქალაქის, ლაზი მომღერლის სიმღერებს ისმენდი. სუფთა ლაზურ ენაზე მღერისო, თქვი და დიდრონი თვალეები ცრემლებით აგვესო... დედამინის ზურგზე ასეთ სევდიან სიმღერას ვერავისგან მოისმენ, რომც არ გესმოდეს სიმღერის ტექსტი, მაინც მიხვდები, რომ მასში განიზომელი სევდააო ჩაქსოვილი...

ჭეშმარიტად!.. ძალადობით სარწმუნოებაშეცვლილმა ერმა არც მშობლიური ენა დაივიწყა და არც თაობიდან თაობებს გადაცემული, სულის სიღრმიდან ამოფრქვეული სევდა-ტკივილით გაჯერებული ჰანგი.

ისეთი კაცი ჩანხარ, რომც სასწაული მოხდეს და სამოთხეში დაგასახლონ, მაინც ვერ გაძლებ სამშობლოს გარეშე. შენთვის ამო იქნება იქ ყოფნა. სხვა ქვეყნის გაცისკროვნებულ შარას, შენი სამშობლოს საცაღფეხო ბილიკებით ბორძიკ-ბორძიკ ხეტიალი გიჯობს. შენი ქვეყნის აის-დაისის ხილვა მეტად დაგატკბობს, ვიდრე ოკეან-გადაღმა ნითლად აალებული ჩამავალი მზის ხედი, რადგან დაჩაღრული ზღვის გლოვა გმინვად ჩაგესმის, წინაპართა ძვალთშესაღაგი გიხმობს თავისთან საიმედო ჭირისუფლად. რატომ? იმიტომ, რომ გენეტიკურად ქართველი ხარ თხემით ტერფამდე, რაინდობით დაჯილდოებული და რწმენაშეურყვნელი. ადამიანის ბუნება კი არ იცვლება, დამეთანხმები. „ხსენს ამოყოლილი, რჯულს უნდა ჩაჰყვესო“, ხომ გაგიგონია?

გვიმრავლოს ღმერთმა შენისთანანი, ვისაც სამშობლო სალოცავ ხატად აღუქვამს და ვისთვისაც თუნდაც ერთი გოჯი მინისთვის ღირს თავგანწირვა, ვისთვისაც ნაღდი კაცობა შეუფასებელი განძია და კაცთმოყვარეობა ადამიანობის საწინდარია.

სანთლები მაჩუქე, უფლის მაღლი შეგენოსო, მითხარი... ღვთისმშობლის მაღლიანი კალთა იფარავდეს, დაე, შენს მოდგმასა და სრულიად საქართველოს!

აი, ახლა შენს მაჩუქარ სანთელს ვანთებ დიდი სათნოებით. წვიმს, გადაუღებლად წვიმს. სანთლის შუქი დღესავით ანათებს კუნაპეტივით ბნელ ღამეს და იმედის ნაპერ-ნკლად მიღვივის მტკივან სულში.

მონაზონი

შემთხვევით გნახე, სრულიად შემთხვევით... მონაზვნის კაბა-თავსაბურავით შემოსილი, კდემამოსილი და მოკრძალებული, ღვთაებრივ სიტბოს და სანთელ-საკმეველის სურნელს აფრქვევდი ირგვლივ. უმშვენიერეს და უნატიფეს არსებას ვუმზერდი და ენით გამოუთქმელი ნეტარებით ვტკებობდი. შენი კეთილგონიერი თვალეებიდან ადამის მოდგმისადმი უანგარო სიყვარული და ზრუნვა ირეკლებოდა. ზეციური სამყაროს სულიერ ბინადრად აღგიქვი უმალ, სინონიმების ფუნჯით ფრესკად მოგხატ-მოგამაქმანე და ტკივილებით დახანჯლულ ჩემს გულში წმინდა სანთლად დაგანთე.

უბედნიერესი ქალწული ხარ, უფლის დიდებასა და მსახურებას ზვარაკად შენიშული, მის ფეხთა მტვრად გარდაქცეული... და განა არსებობს ადამიანისათვის ამაზე დიდი ბედნიერება?

მეც ანგელოზისმიერი ღიმილით გამათბე და გამიამინდე დღე-ღლიმლამო, რისთვისაც დიდი მაღლობა, მამა გაბრიელის სულმნათი საქმენით განსხივოსნებულიმონასტრის მონაზონი, დედაო თებრონია! ქედს ვიხრი შენი სინმინდის წინაშე!



ოთო ფალიანი

\*\*\*

რომელი ბედის არის მიქარვა, მითხარი, ღმერთო, შენს სიგანედან, ან რანაირად, როგორ მიყვარდა?

რაც უცნაურად ჩანდა გარედან... ვინც ყოველ დილით ჩემთვის გალობდი, ვის გამოც ერთ დროს თვალეებს ვაფენდი, როგორ უეცრად გაუბრალოვდი, როგორ უეცრად გამისხვაფერდი...

\*\*\*

და როგორც წინათ, დიდი ხნის წინათ, მუხლებზე მათეს ტროპარი მიდევს და თითქოს თვალში ჩაექცეს წვიმა, ჩემს რწმენას, როგორც ერთადერთ იმედს...

არასდროს ცდება, თურმე უფალი, არასდროს ცდება, აღთქმის დოგმატი, ეს გული თუკი არ დაუფალი, თუკი ცოდვებში არ დაცოტავდი...

გადავმლი როცა მათეს, მარკოზის, ასე მეგონია, ღმერთი მარტო ზის, ვამართლებ ხშირად მაშინ პილატეს, როცა რწმენაში ველარ მიმართლებს... მხოლოდ წონაში მიდის ნამატი, თოკზე იმედებს ვაშრობ განაფენს, იუდასავით ვიცი ღალატი, მაგრამ სანაცვლოდ ვითხოვ არაფერს...

არასდროს ცდება თურმე უფალი, არასდროს „ცდება“ კაცი უფალთან? გუშინ ცოდვები ღმერთს დაუშალე, ახლა საკუთარ სახეს ვუმალავ...

\*\*\*

ღამეა თოვლი იმედებს ლანდავს, თოვლი მოსული გულთა სანაყად, ასე უბრალოდ და ასე სადად, თოვლი საკუთარ თავზე აჯანყდა.. და ბედად ზეცა როდი არგუნეს, იქნებ მოვიდა სულაც მარსიდან...

და ირეკლავდა ღამით სადგურებს, თოვლი, რომელიც უფრო გასივდა.. ზამთრის ყინვისგან მოვარაყებულს, დილით ბავშვებმა მოაპირკეთეს.. და არ ამბობდა არცერთ საყვედურს და უკეთებდა ბავშვებს სიკეთეს...

და თოვლი თოვლი აღარსად ჩანდა და დილით ბიჭმა თოვლი აბურდა, ასე მარტივად და ასე სადად, თოვლი საკუთარ სახლში დაბრუნდა

\*\*\*

ილევა დღე და ფიქრები ილტვის, - ძილში, სიზმრების დაბინდულ ხრამთან.. ღამე რომელიც მთავრდება სხვისთვის, რა განშორების ტკივილებს ხლართავს...

და ბოლოს მაინც სიბნელე მიწვა და მარტოობამ დაისადგურა, მიყვარდა „შენი დღეების მიწა“, შენი თვალეების თბილი ნავთქურა...

გაიმცვრა ფერი მწიფე სამყოფლის, ნახვედი, რადგან ასე ინებე, როცა ჩემს ტკივილს გულზე ნამხობილს, წყვილი ქარები ასეირნებდნენ...

ილევა დღე და ფიქრები ილტვის, - ძილში, სიზმრების დაბინდულ ხრამთან.. ღამე, რომელიც მთავრდება სხვისთვის, რა განშორების ტკივილებს ხლართავს.

თოვლის რჩეული

(ტარიელ ხარხელაურს)

მკრთალად მოჩანდა სინათლე ბნელში, ზამთრის ბურუსში გამოხვეული, ძლივს გადაჰქონდათ ხელიდან ხელში პატარა ბავშვებს თოვლის რვეული. ვერ შეგელა თოვლის ვერსალიც, ვერც ვერკვლის ციხე და ვერც პარხალი, ბეჩავი ზურგი დაგაქვს მზესავით და გაკრთობს შურთხის ფრთხილი ფართხალი.

მტვერი მოედო მიწას და ერქვანს, მისჩერებიხარ დღეებს ნაძვირალს, ისე უეცრად დასრულდა ბეჭა, სიკვდილმაც ველარ მოგისამძიმრა. ეძებ და ბოლოს მაინც იპოვნი, წუთისოფელმა თუნდაც მოგლიოს, შერჩებით შენ და ლექსის სტრიქონი... „როგორც არ უნდა გძულდეს მსოფლიო.“

მტვერი მოედო მიწას და ერქვანს, მისჩერებიხარ დღეებს ნაძვირალს, ისე უეცრად დასრულდა ბეჭა, სიკვდილმაც ველარ მოგისამძიმრა. ეძებ და ბოლოს მაინც იპოვნი, წუთისოფელმა თუნდაც მოგლიოს, შერჩებით შენ და ლექსის სტრიქონი... „როგორც არ უნდა გძულდეს მსოფლიო.“

ჩემ თაობას 1990.....იანებს

ჩვენი მამები ადრე დგებოდნენ, მამლებზე ადრე იღვიძებდნენ, იდგნენ რიგებში, პურის, ნავთის და კიდევ ვინ იცის, ჩვენ კი, ბავშობა შეჩვეულებს მაინც გვილხინდა

და ნავთის სუნში გახვეული მთელი თბილისი, მოგაგონებდათ გამოქცეულს, ძველი მითიდან, ან სიზმრებიდან, სადაც ყველას უმძიმს სიცოცხლე და ერთმანეთით გავსებული ფართო თვალეები...

დენთი, კვამლი და გაბოლილი „კერასინები“ და გაცვეთილი ფეხსაცმელი, წვიმა სისველე... და გადიოდა წლები ასე შეუსვენებლივ, ამასობაში გავიზარდეთ, გამოვიკვებეთ, ჩვენი მამების, დაღლილ მხრებზე ჩამოვისვენეთ,

გავხდით მალეები, დავივიწყეთ, რაც დრომ მოწისლა, ახლა დავდივართ და თან დაგვაქვს ჩვენი მიზნები, სამაგიეროდ ახლაც ისმის, სადაც თოვის ხმა...

და მაინც გვახსოვს, „ჯუქფლინდი“ თუ „გრენდაიზერი“, „გაივლის წლები“ არა როგორც „მარკესს“ მივანერთ, არც „დასახვრეტად“ კედელთან მდგარ.. „ვინმე პოლკოვნიკს“ სულ ოცდაოთხი წელია, რაც ვდგავართ მიწაზე, ჩვენ უკვე ვიცით შაქრის გემოც, ვიცით ბოლოკიც...

ჩვენ ვინც ვერასდროს დავივიწყებთ, გემოს ნავთქურის, ჩვენი მშობლების დაღლილ თვალეებს, შიშს, ან სიცივეს... ვინც წარსულიდან, მომავლისკენ ჩამოვსადგურდით... ვინც უკვე, მოვკვდით, ან უბრალოდ გამოვიძინეთ...

ჩვენ ვინც ვერასდროს დავივიწყებთ, გემოს ნავთქურის, ჩვენი მშობლების დაღლილ თვალეებს, შიშს, ან სიცივეს... ვინც წარსულიდან, მომავლისკენ ჩამოვსადგურდით... ვინც უკვე, მოვკვდით, ან უბრალოდ გამოვიძინეთ...

ჩვენ ვინც ვერასდროს დავივიწყებთ, გემოს ნავთქურის, ჩვენი მშობლების დაღლილ თვალეებს, შიშს, ან სიცივეს... ვინც წარსულიდან, მომავლისკენ ჩამოვსადგურდით... ვინც უკვე, მოვკვდით, ან უბრალოდ გამოვიძინეთ...

ჩვენ ვინც ვერასდროს დავივიწყებთ, გემოს ნავთქურის, ჩვენი მშობლების დაღლილ თვალეებს, შიშს, ან სიცივეს... ვინც წარსულიდან, მომავლისკენ ჩამოვსადგურდით... ვინც უკვე, მოვკვდით, ან უბრალოდ გამოვიძინეთ...

ტკივილიანი....

ჩვენ თაროებმა, თოჯინებად მოგვიმარაგეს... და ტკივილისთვის გაგვამზადეს, მაინც გვიხელთეს, ჩვენი დღეები ემსგავსება იმ მყრალ სანაგვეს, ვხვეტავთ და მაინც, რომ ვერაფრით ველარ მივხვეტეთ...

ვუსმენთ ერთმანეთს, ისე თითქოს ვუსმენთ, „... ინგ“ - ს და ბოლოს დასკვნა ეს ცხოვრება მაინც ბლუზია.. ვართ სამშობლოში სამშობლოდან გახიზნულები,

ნაქართველარი ძველი მიმიკით... დღეს ქართველები? დაბნეული „ჩრდილი ბუზების...!“ და საქართველო ახლა უკვე, თითქმის „Грузия“ ...

ჩვენ გვტკივა, მაინც ვამჯობინებთ, ტკივილს დავჯერდეთ, შაქრის მაგივრად მარილს ვლოკავთ, როგორც ნიქარა, ჭილაძესავით ქარი გვიზის გამხდარ მაჯებზე, ქარი კი არა, თვითონ მივ-ქარავთ! მე მეშინია იმ დღეების გამოთენების, მზე რომ გაქრება, მზე ეგ დედის ბოლო ღიმი ცის და დროს გათლიან, გამოთლიან დროის მთლელები, ან დრო გამოთლის დროის მთლელებს...

იქნებ, ვინ იცის... და როცა მიწა ჩაგვიხუტებს, როგორც ხე, სვავებს და თაროებზე თოჯინებად გამოგვნასკვავენ, ადგებიან და ჰო, დედები დაგვიკემსავენ, ტკივილებს, როგორც წითელ პარასკევს.



იუმორინა-იუმორინა-იუმორინა - ოღონდ მნარა ვინ ხარ ვინ ტარანტი ბრანალო? ანდა რუსთაველი?

გუშინ ბათუმის საკრებულომ გადაწყვიტა, გამოჩენილი ქართველი "პროზაიკოს" ტერენტი გრანელს ძეგლი დაუდგან! ტერენტი რა ტყუილად წერდი: გალაქტიონში არის დემონი. და ჩემში უფრო ანგელოსიაო... არ იცოდი რომ პოეტი - თანაც უმაგრესი პოეტი, რომ პროზაიკოსი ყოფილხარ. შენა...

ამ ორიოდ წლის წინ ერთი მეცნიერი მთელ ქართველ ერს უმტიციცებდა, რომ "დილექტანტი" შოთა რუსთაველი ვეფხვში ლეოპარდს გულისხმობდაო...

თავის დროზე ამ 30 წლის წინ "კომუნარების" მიერ შექმნილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენელ კომისიაში ქართველი კორიფე-მეცნიერები ამტიციცებდნენ ქართველებს თამარის დროს რუსთა არსებობა არაფრით არ ეცოდინებოდათო, ამიტომ ამოვიღოთ უკვდავი პოემიდან რუსთა ხსენებაო, რაზედაც რევაზ მიშველაძემ განწინიერი ხმით იყვირა სამეცნიერო სხდომაზე - თამარს პირველი ქმარი რუსი ჰყავდა და როგორ არ ეცოდინებოდათ საქართველოში რუსთა არსებობაო, რითაც გადაარჩინა მათ მიერ ისედაც უკვე საკმაოდ დამახინჯებული ტექსტი და მხოლოდ შარშან მოხერხდა მურმან თავდიშვილის კოლოსალური შრომის შედეგად ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტის პირველად გამოცემა, ხომ დაუჯერებლად ყდერს მაგრამ ასეა (გამომცემელი პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, სარედაქციო კოლეგია: არჩილ ფრანგიშვილი, რევაზ მიშველაძე, იგორ კვესელავა, სოსო სიგუა) და სხვათა შორის შარშან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ეს გამოცემა რუსთაველის ფრესკასთან პირველმა დავტოვე კიდეც და გულზე რაღაცნაირად მომეშვა, რუსთაველი ხომ პირველად ელირსა თავისი ქმნილების ხილვას, მანამდე აზრად არავის მოსვლია დიდი შოთასთვის თუნდაც სიმბოლურად მიერთია მისი უკვდავი ქმნილება. ჩემთან ერთად ამ რიტუალში მონაწილეობდნენ ბალატიერ არაბული, რობერტ ადარი, ნუგზარ ჯანაშვილი,, პაატა იოსები, ლილა ნოდია და ემიგრანტი ქართველი პოეტები.

რატომ მოვყევი ყველაფერი ეს, იმიტომ რომ საქართველოში გონებრივი უკუნიითი მეუფეობს და თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები ეს უკუნიითი შავი ხვრელივით შეისრუტავს საქართველოს და გააქრობს.

ნოდარ კობერძე

2019 წლის 6 მაისს 18.30სთ.-ზე ბრიგოლოვის თეატრში (რუსთაველის პროსპექტი 2/4) გაიმართება მაყვალა გონაშვილის საიუბილეო საღამო

\*\*\* ა. წ. 25 ივნისს საქართველოს თეატრალური საზოგადოების შენობაში (ხოროვას ქ. 5) გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირის XXV ყრილობა. რეგისტრაცია - 11.00-დან 12.00-მდე. ყრილობა გაიხსნება 12 სთ-ზე.

\*\*\* პოეტ თემურ ჩალაბაშვილს ა. წ. 1 მაისიდან შეუწყდა მწერალთა კავშირის მორიგე თავმჯდომარის უფლებამოსილება.

ვარდო დევაძე

ის გვალამაზავს

მე და გაზაფხულს გვიყვარს ერთმანეთი, ეს გვალამაზავს პირველყოფლისა, ფერადი კაბა ახლაც მაჩუქა, უყურადღებო არც მე ვყოფილვარ.

მტერი მასაც ჰყავს, აწვალავს ქარი, ვიცი, უმტერო არც მე ვგონივარ! განსხვავება ჩვენს შორის ერთი ის მიდის-მოდის, მე სულ მოვდივარ.

პატარავს

ბუდეს იკეთებს ბელურა, უნდა დაჩეკოს ბარტყები, სურთ სახლობანას თამაში, დაწყვილებულან ბაღლები.

სოფელში ხარობს სოფელი, ეზოს მოჰბლავის ბოჩოლა, შიგ ჩაბნეულა ცვარნამი, ქსელი გაუბამს ობობას.

მუხა

საუკუნე გამოვლილი მუხა, გადმოსცქერის მშვიდად არემარეს, რომ მენახე, ფესვდღიერო ხეო, ო, რა დიდი გზა გამოვიარე.

მსურს, მიაბმო ჩვენს წარსულზე ახლა, ვინ ხარ, ვინ ვარ, დრო საიდან მოდის, მოახდინე სასწაული, ხეო, გაბედე და ნაბიჯი გადმოდგი.

ცუდს ნურაფერს გავიხსენებთ ახლა, თითქოს ვკრიფეთ გზად ია-ვარდები, მუხლმოყრილი შევევედროთ უფალს, ცაო, ჩვენო, ნუ გაგვიავდრდები!

\*\*\*

მე არ ვარ ბრძნული აზრების მთქმელი, მაგრამ ერთ რჩევას ვიტყვი რიდიოთა, ერთიცალი ჭრუ ნაყოფის გამო, მთლიან ხეს როდი ჭრიან ძირიდან.



ნაზი ხელაია

ქართველ მწერალთა რიგებს კიდევ ერთი ჩინებული შემოქმედი გამოაკლდა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი ნაზი უშანგის ასული ხელაია.

ნაზი ხელაია ათწლეულების განმავლობაში იღვწოდა ქართულ მწერლობაში და ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მის წინსვლასა და განვითარებას.

ნაზი ხელაია დაიბადა 1952 წლის 4 მაისს ხონში.

1968 წელს, ხონის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, იგი ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1973 წელს დაასრულა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ნაზი ხელაია სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორად, ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების

პედაგოგიურ და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტების, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორად. საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის კონსულტანტად. ჭეშმარიტი პროფესიონალი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება - სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა ნაზი ხელაია ყველგან, სადაც კი იმუშავა...

მისი სამწერლო დებიუტი 1973 წელს შედგა, როცა ქუთაისის საქალაქო გაზეთ „ქუთაისში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნა. მას შემდეგ ამ ნიჭიერი, მრავალმხრივი შემოქმედის ნაწარმოებები - ლექსები, მოთხრობები, პოემები, რომანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, სამეცნიერო სტატიები თუ მონოგრაფიები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველის დანიტერესება გამოიწვია ნაზი ხელაიას ისეთმა პოეტურმა კრებულებმა, როგორცაა „ვინ ახსნა ჯაჭვი“, „ამორძალის ლოცვა“, „სული ღმერთს, გული სამშობლოს“, „სამანის მიღმა“, „უკვდავების უსურვაზები“, „ლურჯი ალგების კარნავალები“... ამ კრებულებში შესული ლექსები სევდით, ადამიანური გულწრფელობითა და სისადავით, სინაზითა და კდემამოსილებით გამოირჩევა. დაკვირვებული თვალი კი იმასაც კარგად შეამჩნევს, თუ ამ სინაზისა და კდემამოსილების მიღმა, ჯადოსნური ციხე-სიმაგრის ცხრაკლიტულეებში, როგორ ბოხოქრობს ქარიშხალივით დაუდგარი ვნებანი. მწერლის პოეზიის ორგანულ და ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს მისი რომანები „თეთრი ხილვები“ და „ქარავანი“, რომლებშიც თვალნათლივ გამოსჭვივის ადამიანის ურთულეს სულიერ სამყაროში წვდომის სურვილი.

ნაზი ხელაიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის,

აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაქტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედების შესახებ გემოვნებიანი და ერუდირებული კრიტიკოსის ნააზრევს წარმოადგენს.

ნაზი ხელაიამ მნიშვნელოვანი კვალი გაავლო ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში. ამის დასტურია მისი, როგორც საკანდიდატო („იოსებ ნონეშვილის ლირიკა“), ისე სადოქტორო („გალაქტიონის ლექსის მუსიკა“) ნაშრომები. ძალზე საყურადღებოა მისი მონოგრაფიები „ადამიანთმცოდნეობა“, „ქართული სიტყვის ჩუქურთმისმჭრელი“, „გზითა მართლითა“, „მიუწვდომელი მწვერვალები“, „მარადისობის ბინადარი“. იგი არჩეული იყო საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად მისი ხელმძღვანელობით არაერთმა დოქტორანტმა წარმატებით დაიცვა დისერტაციები.

ნაზი ხელაია დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ქართველ მწერლებს დიხანს ემახსოვრებათ ნაზი ხელაია და მისი ღვანლი ქართული მწერლობის წინამძღ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძობენ მწერალ ვაჟა ჩორდელს შვილიშვილის ნიკა ჯორჯაძის გარდაცვალების გამო

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა პოეტი ბალაქტიონ ღლონტი და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

